



ქვეყნის კვლევა

40



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გაგონიერება „საბჭოთა საქართველო“
თბილისი — 1976

კ. მარჯოს ს.ხ. ს.კ. სსრ
ს.ხ. დამფუძნებელი
ბი. დ. დ. დ. დ.



მცხეთა, ჭვარი. აღმ. ფასადი. სტეფანოსის რელიეფი. ვ. ცინცაძის ფოტო.

Михета. Джвари. Восточный фасад.
Рельеф Степаноза.
Фото В. Цинцадзе.

სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“



ქეკელი ქოქი ქუთხარი



სერიის რედაქტორი — ოთარ ჩერქეზია
რედაქტორი — ვახტანგ ცინცაძე

Редактор серии — Отар Черкезия
Редактор — Вахтанг Цинцадзе

გ ა მ მ დ ი ს ს ა ზ რ გ ა ლ მ ა ბ რ ი ვ ს ა წ მ ი ს ე ბ ზ ე

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/პე. მდიანი), ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, ირაკლი ჭაპარიაშვილი, ნიკო კაცხიშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანუბლიძე, თინათინ ფიკაძე, ზიორაძე ჩიბაძე, ვახტანგ ცინცაძე.



გიორგი ჩუბინაშვილი.

ნახატი ნინო ბრაილაშვილისა 1935 წ.

Г. Чубинашвили.

Рисунок Нино Браилашвили.
1935 г.

გიორგი ჩუბინაშვილი

დაბადებიდან 90 წლის შესრულების გამო

1975 წლის 21 ნოემბერს 90 წელი შესრულდა დიდი ქართველი მეცნიერის, ქართული ხელოვნებათმცოდნეობის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის დაბადებიდან.




„ძეგლის მეგობარის“ მკითხველთათვის კარგად არის ცნობილი წიგნების მრავალმხრივობა, მისი ფუნდამენტური შრომები, რომელთაც პირველად მოჰყვინეს ნათელი ჩვენი ეროვნული ხელოვნების ისტორიული განვითარების საფეხურებს, გამოავლინეს მისი მკაფიო, განუმეორებელი თავისებურება, გააშუქეს მისი სტილისტიკური ევოლუცია, საქვეუნიოდ გამოამჟღავნეს მისი ადგილი და წვლილი მახლობელ აღმოსავლეთისა და ევროპის ხელოვნების კანკითარებაში.

მაგრამ გიორგი ჩუბინაშვილი მარტო მეცნიერი კი არ იყო, არამედ მეცნიერების დიდი ორგანიზატორიც, ახალი ქართული ხელოვნებისათვის მზრუნველი, ეროვნული ხელოვნების ოსტატთა თაობების აღმზრდელი, ის იყო თბილისის უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის კათედრის დამაარსებელი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პირველი რექტორი, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დამფუძნებელი და უცვლელი დირექტორი გარდაცვალების დღემდე.

სრულიად განსაკუთრებულია გ. ჩუბინაშვილის დამსახურება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მოვლის საქმეში. არსებითად, მის მიერ იქნა შემუშავებული სამუზეუმო მშენებლობის საფუძვლები, მანვე გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული ხელოვნების ძეგლთა დაცვა-რესტავრაციის ორგანიზაციაში.

კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოების დაარსებიდანვე გ. ჩუბინაშვილი იყო მისი გამგეობის პრეზიდიუმის წევრი, ჩვენი კრებულების მორიგე რედაქტორი. გ. ჩუბინაშვილი გარდაიცვალა სამშობლოს წინაშე ვალმობდელი, თავისი ხალხის მიერ დიდად დაფასებული 1973 წლის 14 იანვარს.

„ძეგლის მეგობარი“ დიდი მოკრძალებითა და მადლობით იხსენიებს დიდი მეცნიერისა და მოქალაქის სახელს.



ახალქალაქის ციტადელი. საერთო ხე-
დი ალმ. ფერდობიდან.

Ахалкалаки, цитадель. Общий вид
с восточного склона.

კონსტანტინე მილითაშვილი.

ახალქალაქის ციხის ნაშთები

ჯავახეთის ახალქალაქის ძველი ნაშთების არქეოლოგიური შესწავლა 1960 წელს ცნობილმა არქეოლოგმა გიორგი ლომთათიძემ დაიწყო; მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა 1968 და 1969 წლების კამპანიებიც, რომლის დროსაც ეკატერინე ჯანდიერს ნაქალაქარის ნაგებობების შესწავლა ევალებოდა.¹

ამ ძეგლის 1974 წ. შემსწავლელ ექსპედიციაში, რომლის ხელმძღვანელად ე. ჯანდიერი იყო დანიშნული, მეც ვიყავი ჩართული. მეკისრებოდა იმ ხუროთმოძღვრული საკითხების შესწავლა და ნაქალაქარის გენგეგმის შედგენა, რომელზედაც ნაგებობათა ნაშთები და გათხრებით გამოვლენილი შენობები იქნებოდა ნაჩვენები.

ნაქალაქარი ახლანდელი ქალაქის ჩრდილოეთით, კონცხის სახით ამოზიდულ ზეგანზე მდებარეობს. მისი სიგრძე 750 მ აღემატება, უდიდესი სიგანე — 220 მ, ხოლო ფართობი — 17 ჰექტარს.

საერთო სურათზე ციტადელი შემოფარგლულია ნაგებობებით: 1-3-15-14-18-19-12, ხოლო ქარვასლის ტერიტორია 13-6-14-15-16. ცალკე ობიექტებია: კოშკები — 1, 2, 3, 4, 5, 10, 11; ბურჯები — 7, 8; ბჭე — 9; ცოტაკარი — 12; სარკმლიანი გრძელი შენობა — 13-6-14; თალიანი კედელი — 14-15; მერეთი — 16; გვიანდელი სახლი — 17; ქვითკირის შენობის ნაშთები — 18 და 19. ციხის შიდა ტერიტო-

ՄԻՇԾՄԻՇԻՑԳՐ

Բնակավայրի և գյուղի քարտեզ



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆՈՒՆԱԳՐԱԿԵՆՏՐ



რის ჩრდილო კიდეზე მოთავსებულია ეკლესია—21; გათხრებით გამოვლენილი ნაგებობები: 20, 22, 23, 24, 25, 26, 27. მდინარე ფარავის — წყალი — 28 მდინარე მოცი წყარო (ყირხბულახი) — 29. ბურჯი — 7 ნახაზზე არ აღინიშნა, რადგანაც დამალა ზეგანის დასავლეთმა ფერდმა; იგი რიცხვ — 15-დან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 80 მ დაშორებით მდებარეობს.

თვით ციტადელის ნახაზებიდან წარმოდგენილია გეგმა, ფასადები: დასავლეთისა (W), სამხრეთისა (S) და აღმოსავლეთისა (O); გეგმაზე დამატებით აღნიშნულია 1968 წ. ჩატარებული (ა) და 1969 წ. ჩატარებული (ბ) განათხარი ნაშთები.

რადგანაც ამავე კრებულში ძეგლის ისტორია მის შემსწავლელს ე. ჯანდიერს აქვს წარმოდგენილი, მე მხოლოდ ზოგიერთ სამშენებლო-ხუროთმოძღვრულ საკითხზე შეეჩერდები.

კოშკები: 1, 2, 3, 10, და 11 ლეონტი მროველის ტერმინოლოგიით „მცველიანი“ კოშკებია, ე. ი. ღრუბნია, მათში შინაგანი სივრცეებია შექმნილი, სადაც მცველების მოთავსება და ცხოვრება იყო შესაძლებელი. კოშკი — 4 ღრუა, მაგრამ საგანგებო დანიშნულებისაა, შესაძლოა ცისტერნას — წყლის შესანახს წარმოადგენდა. ან ეგებ საპყრობილეს. რაც შეეხება კოშკს — 5, იგი მასიურია და ლეონტისავე თქმით, „უმცველო“ კოშკს წარმოადგენდა. მას ზედა საბრძოლო ბაქნის მოვალეობა ეკისრებოდა. კოშკები. 1, 2, და 3 ერთ ხაზზე მდებარეობს და სამხრეთიდან იცავენ ციხეს; მათი შემაერთებული კურტიანები ანუ დრუსოები 2,5 მ აღწევნენ და ჩანს, თავის დროზე, კედლების თავზე საბრძოლო ბილიკები და ქონგურები იყო მოწყობილი.


ღრუსოს 2-3, ე. ი. კოშკი — 2 და კოშკი — 3-ის შემაერთებულ კედელს დაყოფილი ჰქონდა ბჭე, მაგრამ ახლა იგი ძალიან დაზიანებულია და მისი სიგანის დადგენაც კი ძნელდება.

ამ სამ კოშკთაგან, შუაში მოთავსებული კოშკი — 2 უფრო დაბალია, რადგან შეტადაა დაზიანებული და მერმინდელი გადაკეთებაც არ ემჩნევა, — ისე, რომ ბაგრატ IV დროინდელ მშენებლობის შემდეგ, მას შეკეთება არ განუცდია.

კოშკი — 1 ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია აღმართული და სამსართულიანია. მისი ზურგის (ჩრდილოეთის) კედელი, როგორც ჩანს, განახლებულია XVII-XVIII სს. თურქთა მიერ.² ასეთივე ნიშნების მატარებელია კოშკი — 3, რომელიც ციხის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეშია აღმართული. სამივე კოშკს პირი ანუ ფრონტი წრიული აქვს, ზურგის მხარე კი — სწორკუთხოვანი. მათ შიგნიდანაც ასეთივე მოწყობილი აქვთ, გარდა კოშკ — 3, რომელსაც შიგნიდან სწორკუთხოვანი სივრცე აქვს.


იმის გამო, რომ კოშკების ზედა ნაწილები დაზიანებულია, ხოლო ზღუდეები სანახევროდ დანგრეული, ქონგურების არავითარი ნიშნები ჩვენამდე არ მოღწეულა. 2-3 ღრუსო ზღუდით შეერთებულია კოშკ — 5-თან და მის ზედაზე გამართულია ბჭე, რომლის სიგანე თითქმის 5 მ. აღწევს; შემორჩენილია ბჭის ურდულის ბუდეც, რომლის კვეთი 29×27 სმ შეადგენს. ამ ბჭით ხორციელდება კავშირი დამოუკიდებელ კვანძთან, რომელიც ტრაპეციის გეგმის მცირე ფართობს წარმოადგენს და გამაგრებულია ოთხი კოშკით (1, 2, 4, და 5).

საგულისხმოა, რომ ამ კვანძთან დაკავშირებულია აგრეთვე „ცოტაკარი“ — 12, მის გვერდით მოთავსებულია 2,7 მ სიგანის თაღოვანი ღიაღი, რომელიც შემდგომ კვეთით კონტად ამოუშენებიათ, ხოლო შიგნითა მხრიდან, მის ერთ ნახევარში თახჩისმაგვარი მოწყობილობა გაუმართავთ ეს თაღოვანი ღიაღი თავდაპირველად, ალბათ ფილაქვანის სამოქმედოდ იყო განკუთვნილი.



ჩავახეთის ახალქალაქი. ციხე-დუღი,
ქარვასლა, გენგემა.

Ахалкалаки Джавахетский. Цита-
дель, каравансарай, генплан.



ჩავახეთის ახალქალაქი. ციხე-დუღისა
და ქარვასლის ეზო. ვანშლა — w, s, o.

Ахалкалаки Джавахетский. Двор
цитадели и каравансарая разрезы, фа-
сады — w, s, o.



რაც შეეხება „ცოტაკარს“, მასაც რიგი გადაკეთებანი განუცდია; აქვე მომხილეთ
საკანალიზაციო გაყვანილობაც.

აქ და სხვა გათხრების უბნებში ბევრი საგულისხმო გარემოება გამოვლინდა და
იმედია, მომავალი შესწავლა მრავალ მნიშვნელოვან საკითხს გააშუქებს.

ამ ახალი ქალაქის ჩრდილო ნაწილში მონღოლების ბატონობის შემდეგ ცხოვ-
რება აღარ აღდგენილა; ამიტომ აქ მიწის მიერ დაუნჯებულია მრავალი ისეთი სა-
კითხი, რომელიც არქეოურბანიზმთანაა დაკავშირებული.

1. ე. ჯანდიერი, ქავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, ფეოდალური საქართველოს
არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი, 1969, გვ. 46-73.

2. ე. ჯანდიერი, ქავახეთის ახალქალაქი გვიანფეოდალურ ხანაში, ფეოდალური საქართვე-
ლოს არქეოლოგიური ძეგლები, II, თბილისი, 1974, გვ. 49-66.

მკა ჯანდერი

„ახალქალაქი ჯავახეთისა“

ისტორიული ჯავახეთის საზღვრები გაცილებით ვრცელი ყოფილა, ვიდრე თანამედროვე ახალქალაქის რაიონია.

თანამედროვე ახალქალაქი მდებარეობს ძველი ჯავახეთის ტერიტორიაზე. ჯავახეთის მტკვრის ანუ თავფარავნის წყლის მარცხენა ნაპირზე, ძველი ციხის ნაშთები კი ქალაქის განაპირაა, ორი მდინარის შეართავში, ვრცელ ზევან-კონცხზე.

ე. თაყაიშვილის ვარაუდით, ახალქალაქის ციხის დამცველი მეწინავე ხაზზე (როგორც საყარაულო — სანიშნო ფუნქციის მქონე), უნდა ყოფილიყო ღულაღისის ციხე თავისი კოშკით (აგებული ახალქალაქის სამხრეთით 7-8 კმ-ზე), იმდენად, რამდენადაც ახალქალაქის ციტადელი გაშლილი და მისადგომია სამხრეთიდან.

სახელწოდება „ახალქალაქი“ — XVII ს. თურქი ისტორიკოსი დ. გეოგრაფი ქაჯჯი ხალიფა (იგივე ქათბი ჩელები) ქართული სიტყვით — „თეთრი ციხის“ მნიშვნელობით განმარტავს.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით, თვით ჯავახეთის კუთხემ თავისი სახელი მცხეთოსის შვილის ჯაბახუნის სახელიდან (ქართლოსიანთა შთამომავლისაგან) დაიმკვიდრა.

ანტიკური ხანის ჯავახეთის ცენტრად წუნდა — ქალაქი ითვლება, რომლის შემოგარენი არქეოლოგიურად ადრევე იყო დაზვერილი; თუმცა უფრო ფართო მასშტაბურ თხრას წუნდა-ნაქალაქევის მიდამოებში მომავალი გვემეტი ითვალისწინებს.

ახალქალაქის ციხე-ნაქალაქარის 18 კა ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრითი სამუშაოები, წარმოსახვენ ქალაქის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებს.

არქაული ხანის ნაშთსაქარმა კვალი ახალქალაქის ზებან-კონცხზე

არქაული, შესაძლოა ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანიდანვე დასახლების კვალი შენიშნულია ამირანის გორაზე და ახალქალაქის ზევან-კონცხზე, უკვე ფეოდალურ ხანაში წარმოქმნილ ციხე-ქალაქის ნაშთების არქეოლოგიურად გამოკვლევის დროს. ნაქალაქარის ჩრდ. დას. ბოლოში, სამოსახლო უბნებში (მაგ. ნასახლარი — II-III)

1960, 1968 და 1969 წწ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შესაბუნებო არქეოლოგიის განყოფილების წევრი, აქ განსვენებული მეცნიერის—გიორგი ლომთათიძის ხელმძღვანელობით არქეოლოგიურად იკვლევს ჯავახეთის ფეოდალური ხანის ცენტრის — ახალქალაქის ძველი ციხის ნაშთებს.

უკანასკნელად, ვ. ვ. ჯაფარიძის დაცვებით და ზერიტომოდვარ-კონსულტანტის კ. მელითაურის შეწევნით, მხოლოდ 1974 წლის შემოდგომაზე მოხერხდა ძველი ციხის ნანგრევებთან დაბრუნება.

ჩვენს ხელმძღვანელს ვ. ლომთათიძეს, რომელმაც დაგვავალა ჯავახეთის ძეგლების არქეოლოგიურად შესწავლა, ჩვენ თავიანთსავე უბრალოდ. სველე სვეტსავედითი საქმიანობა. ჩვენთან ერთად გათხარეს რაიონის ხელმძღვანელებმა და ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.



ამოქოლილი კამაროვანი „ცოტა კარი“ აღმ. ზღუდეში. ზედი აღმოსავლეთით.

Арочная калитка в вост. ограде штадели. Вид на восток.

ზოგი სენაკის შემადგენელ კედელთა ე. წ. „ციკლოპური“ ან მშრალი წყობა (ე. ი. დიდრონი, ნაგლეჯი ლოდებით ნაგები და წრიულად განლაგებული ნაშთები), რასაც აქვე აღმოჩენილი შავპრიალა წითელსარჩულიან ტურქელთა ნაშთებიც ერთვის, გვაუარაუდებინებს, რომ აქ ფეოდალური ხანის სამოსახლოს წარმოქმნას წინ უსწრებდა არქაული ხანიდანვე დასახლების კვალი. ამგვარად, არქაულ კედელთა ზოგი ნაშთი შემდგომ გამოყენებულა კიდევ ფეოდალური ხანის ქალაქის სამოსახლო უბნების საერთო გეგმარების დროს.

უზღუდო სამოსახლო „წინაქალაქობის“ ხანაში (IX-XI სს. 10-იანი წწ.)

მომდევნო ხანა, როდესაც ჯავახეთი ახალ ურთიერთობაში მონაწილეობს, უკვე ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოშობის ხანას — IX-XI სს. ემთხვევა საქართველოში.

XI ს. 10-იან წლებში ბაგრატ III მიერ ჯავახეთის პოლიტიკური შემოერთების ფაქტი (1008 წლიდან) და იმ დროის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების დონე, განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო შემდგომი ქალაქის წარმოშობა — შენებისათვის.



„ცოტა კარი“ ეზოდან ხაფეხურებიან გვირაბი. ხედი დასავლეთით.

Калитка со двора цитадели. Ступенчатая тоннель, вид на Запад.

ყოველივე ეს თავისებურ გამოხატულებას პოულობს ციხე-ნაქალაქარის ზოგი იმ განათხარი ნაშთის სახით, რომელიც ახალქალაქში, ვფიქრობთ, „წინაქალაქობის“ პერიოდს შეესაბამება.

ნაქალაქარის ჩრდ. დას. ნაწილში გათხრილ ნასახლარებში — I, II, III, IV, სენაკთა განლაგება ზოგი კედლის შენების წესის მიხედვით, რომელთაც აქ მონაპოვარი კერამიკული მასალაც შეესაბამება, — მივიჩნით IX-X სს. ნაშთებად. დონეთა სხვადასხვაობის გამო ისინი გამოიყო XI-XIII სს. კუთვნილთაგან.

ხშირ შემთხვევაში, აქ ნასახლართა კედლების ქვედა რიგები ნაგებია ე. წ. „ფსევდოციკლოპური“ წყობით; ასეთია დიდრონი, უხეშად თლილი, მაგრამ შერეულად წყობილი, ე. ი. ვერტიკალურის — ჰორიზონტალურთან მიმართებაში მყოფი ქვით ნაგები კედლები, რომელთა ღრუბრები წვრილი ნატეხი ქვითაა შევსებული.

ნასახლარ — I და IV-ის იატაკქვეშიდან, ზოგი გაუქმებული ხაროს ფსკერიდან კი ამოგვრიფთ ადრეფეოდალური ხანის მიწურულისათვის დამახასიათებელი კერამიკული წარმოების ნიმუშები: კეცზე ანგობით, ფუნჯით მოხატული და ღვიძლისფერით მოჭიქულ ჯამთა ნატეხებიც; სათუნე ხელოსნობის უმეტეს ნაწილს ამ დროს შეადგენს მოუჭიქავი, მაგრამ ნაწილობრივ შეღებილ — მოხატული და გაპრიალებული სუფრის ტურტელი; აქვეა ლურჯი მინის სამკუთხა განიკვეთიანი სამაჯურები და სხვა. არის გარდამავალი ეტაპის (X-XI სს.) ნიმუშებიც.

გკლესიის ნანგრევის ხუროთმოძღვრული ანალიზით (ოღნავ ღერძდაგრძელებული და ცენტრალურგუმბათიანი ჯვრის გეგმის, აგრეთვე ზოგი ჩუქურთმიანი ქვის დეტალის



გამო) გამოირკვა, რომ მისი თავდაპირველი შენება-შემკობა არაუგვიანეს XI ს. უნდა მომხდარიყო.

ამას გარდა, სამხრეთით, ციტადელის მთავარი ტიშკრის ქვედა ფენის გამოვლენა (მიწის საფარის ქვეშ მოქცეული ზღუდის ზოლში ჩართული ბურჯის აღმოჩენამ — რომლის თავზე გადადის შუაფეოდალურ ხანაში გაჭრილი ციხის მთავარი კარის ზღურბლი), — მიგვახვედრა, რომ ადრეფეოდალური ხანის მიწურულისათვის ახალქალაქში უკვე არსებულა, თუმცა უზღუდო, მაგრამ ვრცელი სამოსახლო, რომელიც სულ მალე — XI ს. 40-იან წლებში უკვე ზღუდე-გალაენით გამაგრებულ დიდ ქალაქად ქცეულა როგორც კი საამისო სოციალ-ეკონომიური პირობები დადგა.

ამგვარად, ვფიქრობთ, უკვე IX-X სს. — ყოფილა ახალქალაქში ზოგი ის ნაგებობა, რომელიც ვრცელი სამოსახლოს კუთვნილი ჩანს და ამდენად, მისი „წინაქალაქობის“ ვტაპის მაჩვენებლად ჩაითვლება.

როგორც ჩანს, სწორედ მის ბაზაზე წარმოქმნილა შემდგომ შუაფეოდალური ქალაქი, — უკვე „ახალქალაქობის“ ხანაში.

არ გამოვირცხავთ, რომ IX-X სს. ახალქალაქი ჯერაც „უზღუდო და უციხო“ ქალაქთა რიგებს მიეკუთვნება. აღნიშნულ პერიოდში რაიმე სამწინებლო საქმის შესახებ ახალქალაქში სრულიად დუმს საისტორიო წყარო, რაც, შესაძლოა, აიხსნას იმით, რომ იმხანად ახალქალაქის სამოსახლო მართლაც ჯერ არ არის „გაქალაქებული“. ეს მომენტი კი ცოტა გვიან დგება, თუმცა, ვფიქრობთ, საამისო პირობები XI ს. 40-იანი წლებისათვის უცბად ვერ შეიქმნებოდა და საფუძველი უკვე მომზადებული იყო.

სამოსახლოს „გაქალაქება“ — „ახალქალაქი ჩაპახმისა“
(XI ს. 40-იან წწ. — XIII ს.)

ძველ ქართულ წყაროებში „ახალქალაქისა ზღუდეთა შენება“ (XI ს. 40-იან წლებში) პირველადაა ნახსენები ბაგრატ IV (1027-1072 წწ.) მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

„მატიანე ქართლისაჲს“ — ს ცნობით, ეს არის „აფხაზთ მეფესა“ და კლდეკარის ერისთავ ლიპარიტს შორის შინაომის ეპიზოდი: მამინ შემომსვენნი“ ...გავიდეს ჯავახეთს (ერთი საყურადღებო ვარიანტით: „გავიდა მეფე“) და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო“.¹

იგ. ჯავახიშვილი ნეიტრალურად განმარტავს ამ ცნობას: „ახალქალაქის „ზღუდეთა“ შენება დაუწყიათ ბაგრატ IV-ის დროს“, 1074 წლამდე, დაახლოებით 1044-1045 წლებში.² ცოტა ზემოთ იგი იმოწმებს გიორგი მთაწმინდელის ცნობას და „მატიანე ქართლისაჲს-ს. „ახალქალაქი ჯავახეთისაჲს“.

XI ს. 40-იანი წლებიდან, ვიდრე XIX ს-მდე, ახალქალაქის ციხე-სიმაგრე გამოდის ხან ქართული ფეოდალური ხელისუფლების დამცველად, ხან კი უცხო დამპყრობლური ძალის საყრდენად ამ მხარეში, — მიმართული ქართული ქვეყნის სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ.

საკულისხმოა, რომ ახალქალაქის ციხესიმაგრე აგებიდან 20 წლის შემდეგაც არ ყოფილა განსრულებული, ისე განადგურებულა ზედიზედ — 1065 და 1068 წლებში სელჩუკიანი სულტნის ალ-ფარსლანის შემოსევათა შედეგად. ამას საბედისწერო როლი უთამაშია ციხე-ქალაქის დამცველ მესხთა და „შემოსა კერძისათა“ (საკუთრივ ჯავახელთა) ტრაგედიაში.



ქარვასლა, ხედი სამხრეთით.

Каравансарай. Вид с Юга.

სელჩუკთა განდევნის შემდეგ, XI ს. ბოლოს და XII ს. დასაწყისიდან სამეფო ხელისუფლების ძლიერებამ და კულტურულ შემოქმედებითა წინსვლამ გზა გაუხსნა სასაზღვრო თემების დაწინაურებასაც.

აღსდგა საქართველოს ძველი ბედელიც — ჯავახეთი, დაიხვეწა ხელოსნობის სხვა-დასხვა დარგი და საერთოდ, ინტენსიური გახდა საქალაქო თუ სასოფლო ცხოვრება. აიგო ქარვასლა-ფუნდუკები (ახალქალაქი, თავფარავანი), ხიდები (ყაურმა), ეკლესიები (ყველა სოფელსა და დაბაში).

XI-XII სს. ჯავახეთში ახალქალაქს გარდა წარმოიქმნა სხვა მცირე ქალაქებიც ანუ დაბა-ქალაქები — გოკია და ბარალეთი.

მნიშვნელოვან სავაჭრო-საქარავნო გზაზე წარმოქმნილი ახალქალაქი მჭიდრო ეკონომიურ კავშირს ამყარებს, როგორც ქართლის შუაგულ რაიონებთან, ისე კავკასიის მეზობელ სახელმწიფოებთან (სომხეთთან, აზერბაიჯანთან).

და იყო ასე, ვიდრე XIII ს. მონღოლთა შემოსევების წყალობით, მნიშვნელოვან-წილად არ შეფერხდა ამ მხარის ეკონომიური წინსვლა...

შუაფეოდალური ქალაქის ამ აღზევება-დამცრობის მეტყველ სურათს. გვიჩვენებს ახალქალაქის ძველი ციხის ნაშთების არქეოლოგიური კვლევაც.

XI ს. 40-იანი წლებიდან, ვრცელი და ძველი სამოსახლოს ქალაქად გამოცხადების ძირითად კომპონენტად უნდა ჩაითვალოს მისი მტკიცე გალავანში მოქცევა; ქალაქს სამხრეთიდან გამაგრებული ციხე-გალავანი იცავს — კოშკებით, ბურჯებით, კარიბჭეებით.

XI-XII სს. ახალქალაქში მკვეთრი აღმავლობით მიდის სამშენებლო საქმე. ციტადელის ძირითადი ძარღვი თუმცა გვიანფეოდალურ ხანაში (XVI-XIX სს.) მრავალგზის გადაკეთება-დამუშავების გამო მკვეთრად არის სახეცვლილი, მაინც აშკარად ატარებს XI ს. შენების ნიშნებს. თითქმის ყველა კოშკისა და ბურჯის ძირი ნაგებია უბეშად თლილი, დიდი ლოდების წყობით, რომელთა შორის ღრეწობები თიხის ხსნარ-



თა და წერილი ქვის ნატეხებითაა შევსებული. ხელუხლებლადაა შერჩენილი სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნაწილი. ფასადის № 2 კოშკი, შედარებით დაბალი, ვიდრე ნაპირა № 1 და № 3 კოშკები. ციხის მთავარი ფართე კარიბჭე სამხრეთიდან გაჭრილია ნაპირა № 3 და შუა № 2 კოშკებს შორის. როგორც თხრამ გამოარკვია, იგი უფრო ძველი ზღუდის ნანგრევის თავზე გადადის (ამიტომ მივიჩნით ეს უკანასკნელი, ანუ ალაყაფის კარის ქვეშ მიწით დაფარული ზღუდის ნაწილი, X ან XI ს. 10-იან წლებამდე ნაშენობად).

მთავარი (დიდი) კარის გარდა, XI-XII სს. ციხეს აღმოსავლეთი ფერდობიდანაც ქჷონია კიდევ ერთი, კამარით ამოყვანილი „ყოტა კარიც“.

ამგვარად, ირკვევა, რომ ბაგრატ IV დროს გამოგრებულ ქალაქის დამცველ ციხეს კარგა მოზრდილი ფართიე სჭერია (დაახლ. 5-6 ჰა) და იმ დროის ხუროთმოძღვრული ნორმების მიხედვით, ლაზათიანად ნაგებიე ყოფილა: თუმცა, როგორც ცნობილია, მალევე დაუნგრევიათ ხელწეებს.

ქალაქის დაარსების დროინდელი უნდა იყოს ციტადელის შიგნით, დასავლეთ ზღუდესთან მიდგმული კამაროვანი ქარვასლის შენობაც, რომელიე ადრე მოპირკეთებული ყოფილა ფერადი თლილი ქვით, მაგრამ დღეს ამ „პერანგის“ კვალიდაა შემორჩენილი.

ქარვასლას თავის მხრიე კიდევ ერთი დამცველი კოშკის საშუალებით დამაკავშირებელი სავალი გზა ქჷონია დასავლეთი ფერდისაკენ. მისი აღმ. ფრთა კი კუთხეს კრავს ე. წ. „ყაზარმის“ სარკმელებიან შენობასთან და ამ უკანასკნელის უშუალო გარძელებას წარმოადგენს. აღმოჩნდა, რომ ამ შენობის აღმ. ფრთის ზედა სართული თუმცა გვიან (XIX ს.) „ყაზარმად“ გადაკეთებულა, თავის დროზე (XI-XIII სს) ქვედა დონის მიხედვით, — ეკუთვნოდა კამაროვანი ქარვასლის უწყვეტ ზოლს. ამდენად, ქვედა ფენა პირველად სამშენებლო ეტაპს განეკუთვნება (ამას აქ აღმოჩენილი სპილენძის მონეტაც ადასტურებს).

ამგვარად, კამაროვან შენობას სამხრეთიდან და დასავლეთიდან იცავს ციტადელის კოშკები და ზღუდე.

გამოირკვა, რომ ქარვასლას ძირში, თითქმის პარალელურად, გასდევს აქა-იქ ქვაკრით ამოყვანილი და თიხის ხსნარით მოლესილი გვირაბიე (შესაძლოა, შენობის სათბური?).

აქ გათხრილი და პარალელურად (ორ-სამ რიგად) განლაგებული სენაკების № 1, 2, 3 ქვედა ფენები (გეგმარებით, შენების წესით და მონაპოვარი მასალითაც) გვიჩვენებს აწ განადგურებული ქარვასლის იმ დამარხულ ნაშთებს, რომელთაც კავშირი უნდა ქჷნოდათ კამაროვანი შენობის კაპიტალურ კედელთან და მამასადაძმე, შენობის ერთ მთლიან გეგმასთანაც. ეს სენაკები კამარის საყრდენ პილონთა გასწვრიე გარკვეულ ინტერვალებზე ჩანს განლაგებული, ერთგვაროვნად ნაშენია და შესაძლოა, ისეთიეე კამარებს კრავდნენ. ზოგან ჩანს ფილაქვით მოგებული იატაკი. ხშირად კედლოვან ქანში იატაკქვეშ ჩაჭრილია სარდაფები და სხვა.

სენაკთა ძირითადი ფართობი (შემადგენელი კედლებით, სასვეტე ბაზებით) და აღმოჩენილი მასალაც, ძირითადად XI-XIII სს. განეკუთვნება. აქვე ჩნდება ერთ-ფერქიქურიანი, ამოკაწრულორნამენტიანი ჯამები და გარდამავალი ეტაპის (X-XI სს.) წარმოების ნიმუშებიე. მაგ: კეცზე ანგობის ზოლებით მოხატული, მკრთალი ნაკაწრი სხივებით შემკული, ღვიძლისფერქიქურიანი ჯამი. აგრეთვე, ნაწილობრიე შეღებილ-გაპირიაღებული ჯამების, ლანგრების, მოხატული ხელადების ნატეხები; მოთეთრო-ჩალისფერი სუფთა თიხის თხელკედლიანი სახმისის ძირ-კედლის ნატეხები და სხვა.

ქ. მარქოსის სს. ს.ე. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბი ლიბრერია



ქარვასლის ეზო. სენაკი № 1 დას. ზღუდესთან. საერთო ხედი აღმოსავლეთით.

Двор каравансарая. Комната № 1 у западной ограды, общий вид на Восток.

XI-XIII სს. ქალაქის ვრცელი უბნები ციტადელის უკან, ჩრდ. — დას. ბოლოში ყოფილა გაშლილი, რომელიც ასევე ზღუდე-გალავნითაა გარშემორტყმული.

აქ, ჩრდ. დას. ფერდობიდან კიდევ ერთ კარს შემოვყავართ ქალაქის უბნებში. ამ საქალაქო კარიბჭის ნანგრევს უნდა ეკუთვნოდეს ქვა, დაქარაგმებული ასომთავრული წარწერით: „ქრისტე, შეიწყალე მარიამ“, — იგულისხმება ბაგრატ IV დედა, მარიამ დედოფალი.

თხრამ გამოარკვია, რომ აქ ამ დროს მჭიდრო საქალაქო დასახლება ყოფილა: ეკლესიისა და ქალაქის ტიშკრის უბანში გათხრილი ოთხივე ნასახლარის ნაშთების არქეოლოგიურად შეასწავლის შედეგად გამოიყო აგრეთვე 2 სამშენებლო ეტაპი: X-XI და XII-XIII სს.

კლასიფიკაციას საფუძვლად დაედო საცხოვრებელ-სამეურნეო სენაკთა შემადგენელი კედლების წყობის ანალიზი და აქვე აღმოჩენილი კერამიკის, მინის და სხვა მასალის განფენება.

განვითარებული ფეოდალური ხანის თითო სამოსახლო კომპლექსი, უმთავრესად, სამ-ოთხ სენაკს მოიცავს. საცხოვრებელ დარბაზთა ფართი გაცილებით დიდია, ვიდრე დამხმარე სამეურნეო-სამწარეულო სენაკებისა.

XI-XIII სს ნაგებობათა შინაშის წმის განსაზღვრავს კედელთა წყობაში ძმის მებრწილად კორინთონტალური მიმართება, სადაც მომცრო თლილი ქვა თიხის ხსნარითაა დაკავშირებული.

ხშირად, ასეთი წყობით ნაგები კედლები ადრინდელი სამოსახლოს ნაშთებზეა დაშენებული (IX-X სს-ის კუთვნილ „ფსევდოციკლოპურად“ წოდებულ შერეულ წყობაზე). ამ სხვაობას თიხატკვანილი იატაკთა დონეც განსაზღვრავს, რადგან ჩანს XII-XIII სს. ხელახლა დასახლების კვალი.

კედელთა გასწვრივ და ზოგჯერ შეაგულშიც, თიხატკვანილი იატაკზე დაწყობილი მანს ზრტყელი ფილაქვები (ხის სვეტების საყრდენი „ბალიშები“), რაც სენაკთა ბანურ ვადაზურვაზე უნდა მიუთითებდეს.

ზოგ სენაკთა კუთხეებში, თითქოს პოსტამენტებში — ჩადგმულია ქვაზე ნავეჭობი ჯვრის პატარა სტელები, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი მეკომურ-მოსახლეთა შინასაკურთხეველის დანიშნულებისაღ უნდა ყოფილიყო; მით უფრო, რომ ამგვარ პაწია სენაკებში ყველაზე ნაკლებად ჩანდა რაიმე საოჯახო-სამზარეულო ტურტელი.

იატაკი უმეტესად თიხატყეპნილია, რომელშიაც ჩადგმული ჩანს კერები, თონეები, ჩაჭრილია მარცვლეულის შესანახი ხარობები.

იატაკზე მოვიძიეთ, ძირითადად, XI-XIII სს. დამახასიათებელი მოტიქული და მოუტიქავეი ტურტლის მრავალი ნიმუში: უმეტესად ერთფერტიქურიანი (ღვიძლისფერი, მწვანე) და მრავალფერად მოხატულ-მოტიქული (ფრინელისა და ცხოველისა გამოსახულებიანი ან გეომეტრიულორნამენტიანი) ჯამები, ქილები, სამარილები; ბევრია ნახევრადდაშვადებულ ჯამთა ნატყეპებიც, რაც წარმოებს ადგილობრიობაზე მიუთითებს. ხშირად გვხვდება საოჯახო თიხის სათბურები, ე. წ. „ზრათითი“ (ნადვერდლის შესანახი ტურტელი) და სხვა; არის მინის წვრილგრებილი და სადა (შავი, ლურჯი, ციანური, მწვანე) სამაჯურები, შავი მინის დიდი მძივი ინკრუსტირებული ცისფერი ძარღვებით და სხვ.; იატაკის დონეზევე შეგვხვდა რამდენიმე სპილენძის მონეტაც, XII-XIII სს. ყოველივე ეს, ამ სამოსახლოთა ცხოვრებას XIII ს-ზე უფრო გვიან არ გვაუწყებს.

სენაკები ერთმანეთთან დაკავშირებულია ტყხილი ტალანებით და თითო ან ორი კარით. სამოსახლო კომპლექსები გზისკენ ყრუ კედლითაა მიმართული; ხოლო თვითეული მეკომურის კარ-მიდამო მეორის მოსაზღვრეა ისე, რომ, შესაძლოა, მათ უზოს გიწრო სავალი აერთებდა გზისპირთან.

ამგვარად, უნდა ვიფიქროთ, რომ ურთიერთთან მჭიდროდ დაკავშირებული თითოეული სამოსახლო ერთგვარად გამაგრებულიც იყო გვერდით მყოფი მეზობლისაგან, შიშინაობის შემთხვევაში კი — ყველა ერთობლივ ქმნიდა ურთიერთმოკავშირე პატარა „ციხე-სიმაგრეთა“ ჯგუფს.


შუაფეოდალური ხანის ახალქალაქში სამეურნეო მოწყობილობიდან აღსანიშნავია სელის ზეთსახდელი გელაზიც (გათხრილი დას. ზღუდის გარე ნამოსახლართა უბანში), რომელიც სელის წინევის კარგად დაყენებულ საქმიანობაზე მიგვითითებს.

XI-XIII სს. მჭიდროდ დასახლებულ ახალქალაქის მოსახლეობას, თავისი იდეოლოგიის გამოშხატველი კერაც უნდა ჰქონოდა.

ასეთია ის ჯვრის გეგმის მქონე გუმბათიანი ეკლესია, რომლის აგება გაცილებით ადრე უნდა ვიგულისხმობთ, ვიდრე ქალაქის ზღუდის შენება. ყოველ შემთხვევაში, XII ს-ის მეორე ნახევრიდან, ციხე-ქალაქის ცხოვრების კვლავ გამოცოცხლებასთან ერთად, ვხვდავთ ეკლესიის „მეორედ შენებასაც“. ამაზე მიგვანიშნებს ახალქალაქის ცნობილი წარწერა, ჩუქურთმიანი სარკმლის თავისა და დეკორის ნაწილები (ღრმადკვეთილი წნული და გრებილი ორნამენტი, ყვაულივანი მედალიონებით შემკული და სხვა).

ხსენებულ წარწერას, ახლებურად ამოკითხვის შედეგად, პალეოგრაფიული ნიშნებისა და მასში მოხსენიებულ პირთა მიხედვით, ე. ცისკარიშვილი XII-XIII სს. კუთვნილად მიიჩნევს (ყოველ შემთხვევაში, არა უადრეს XII ს. მეორე ნახევრისა), მეფე დავით ლაშას ძისა და ამირსპასალარ ავაგ ზაქარია შანშესძისა დროინდელად, რაც, ვფიქრობთ, უფრო მართებული უნდა იყოს, ვიდრე ივ. როსტომიშვილისა და ე. თაყაიშვილის ვარაუდი (- XI ს.)

ამგვარად, ახალქალაქის გამაგრებული სამოსახლო შუაფეოდალური ხანის მთელ მანძილზე მოიცავდა საბრძოლო — თავდაცვით ნაგებობათა მთელ სისტემას, რომელიც



ღვიძლისფრად მოქიქული და მოხატული ქაშის ფრაგმენტი (X-XI სს).

Чаша росписная, глазурованная фиолетового цвета (X-XI вв.), фрагмент.

თავის მხრივ ამაგრებდა ქარვასლას, ეკლესიას, საცხოვრებელ და სამეურნეო კომპლექსებს (ზღუდის შიგნით და გარეთაც).

XI-XIII სს. ვრცელ ზეგანზე და მის ფერდობებზე, ჭალებში ინტენსიურად მიმდინარეობს მიწათმოქმედება, მებოსტნეობა, ხელის ბეჭევა, და მით უფრო — მესაქონლეობა. ჩანს ხელოსნური წარმოების დარგებიც, მეტადრე კერამიკული, რომელსაც გაცხოველებით მისდევენ ადგილობრივი მეთუნე ოსტატები.

მაგრამ ისიც ირკვევა, რომ XIII ს. უკანასკნელ მეოთხედში, მონღოლთა შემოსევის შემდეგ, ჯავახეთ-ახალქალაქის მხარე ძალზე დარბეულა.

ახეთივე სურათია ქალაქის სამოსახლეობის ცხოვრების უკანასკნელ ეტაპზე: თუ XI-XII სს. თითოეული მეკომურის სამოსახლო 3-4 სენაკისაგან შედგებოდა, XIV ს. დასაწყისისათვის უკვე ჩანს მათი დამცრობა-შეკვეცა, რაც ალბათ, უნდა აიხსნას დაბეგრული ქალაქის მოსახლეობის ეკონომიური და სოციალური ყოფის საფუძვლის მოშლით.

აქ ძველ სენაკთა ფართი საგრძნობლად შემცირებულია — ზოგში სუსტი წყობის ქვებით შემოფარგლული დროებითი სადგომებია ჩაშენებული; ძველ სენაკთა დამაკავშირებელი ზოგი კარი საგანგებოდაა ამოქოლილ-გაუქმებული. სამოსახლოს, სახელდახელოდ, უსისტემოდ შეკეთება-გამაგრების კვალი ეტყობა.

XIII ს. შემდეგ, ხელოსნური ნაწარმიც უფრო დაუდევარი და ულაზათო ნახელავი ხდება: თიხა ცუდადაა გაყრილი, მსხვილმარცვლოვანია, ჭურჭელი ცუდადაა გამო-

წვარი და ტლანქია; ფერთა შეხამებაც უფრო მკაზხა და ჭურჭლის მოხატვა და მათგან
თავ ხელწერაზე მეტყველებს.

ამიერიდან ჩაკვდა, დამცირდა საქალაქო ცხოვრება ახალქალაქში. განადგურდა
ქალაქის უბნები, აყრილი და მიტოვებული დარჩა მრავალი საცხოვრისი, შეიკვეცა ქა-
ლაქის ფართობი, დაკნინდა ხელოსნური ნაწარმი, ჯავახეთის მოსახლეობა მძიმე გადა-
სახადის უღელქვეშ მოექცა. და თუმცა ახალქალაქის მკვიდრნი ისევ აგრძელებენ ცხოვ-
რებას და ალბათ, წარმოებასაც, მაგრამ ადრინდელი ინტენსივობით ვეღარ. ახლა ის უკ-
ვე დაწინაურებული ქალაქი კი აღარ არის, არამედ მონღოლთა ყაენის მოხარკეა და
სამცხის საათაბაგოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული. ამის შემდეგ, ახალქა-
ლაქის ციხე ამ მხარეში გვევლინება უკვე როგორც სამხედრო პლაცდარში ქრისტიანუ-
ლი ქვეყნის წინააღმდეგ.

ასეთია პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიური ვითარება აქ, ვიდრე XVI საუ-
კუნიდან ახლა ოსმალთა ბატონობამ არ მოუღო მას ბოლო...

„რაბათ-ყალა-ახშარად“ — ბუჯინსტანის შილაჰმეშინი (XVI-XVII სს.).
XVI ს პირველსავე ნახევარში სამცხის საათაბაგო, რომელშიაც ჯავახეთ-ახალქალაქის
მხარეც შედიოდა, გამოეყო საქართველოს სამეფოს. ათაბაგთა ამგვარი პოლიტიკა დამ-
ღუბეული აღმოჩნდა. 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავის შემდეგ. სამცხე-საათაბაგო-
ში ოსმალთა დამყარდა.

სწორედ ამ მხარეს უწოდებენ „გურჯისტანის ვილაჰეთს“.

სამცხე-საათაბაგომ პოლიტიკურ გართულებათა შედეგად საუკუნეთა მანძილზე
გამანადგურებელი, ეროვნულად დამაკნინებელი ძნელბედობანი განიცადა, რომელთა
შედეგაც იყო მოსახლეობის გადათურქება და გამაჰმადიანება, რაც თითქმის XIX
საუკუნემდე გრძელდებოდა.⁶

„გურჯისტანის ვილაჰეთის დიდ დავთარში“ ახალქალაქის ციხე და მისი გარშე-
მომდგომი უბნები იწოდება „აკშეჰირის ციხის რაბათად“ ანუ „რაბათ-ყალა-ახშარად“.
ეს არის ახალქალაქის გამაგრებული ადგილი (ციტადელა) თავისი სამოქალაქო მო-
სახლეობით, თუმცა, როგორც ირკვევა, იმ დროს მოსახლეობა თვით ახალქალაქში თით-
ქმის აღარ არის, განაზავებული და აყრილია. ირკვევა ისიც, რომ ამიერიდან „ცხოვ-
რება“ მხოლოდ ციტადელის მხარეში გრძელდება, ის ოსმალთა ჯარის სამყიდველად
იქცა; ქალაქის ძველი უბნები კი გაპარტახდა.

ამიტომაც, რომ XVI-XVIII სს. ყველაზე მეტად ამ „რაბათ-ყალას“ ანუ ახალქა-
ლაქის განმარებულ სამოსახლოს ციტადელს — ზღუდეს, კოშკებს, კარიბჭებს, ქარვას-
ლას, ეტყობა მრავალგზის სამშენებლო ცვალებადობა. აქ მკაფიოდ ჩანს კუთხის კოშ-
კების № 1 და 3-ის გადაკეთება, ზურგების გამკვიდრება, ხელახლა შენება. ახლა კო-
შკები სამ-ოთხსართულიანია, სათოფურებგამოჭრილი.

ციტადელის სამაგრო ნაგებობათა აღდგენილობა შეიცნობა განსხვავებული სამ-
შენებლო მასალითაც: ზღუდე-ბურჯებისა და კოშკების ზედა ნაწილებში ჩანს დულაბის
ჭარბად გამოყენება; „პერანგში“ ხელმეორედ გამოყენებული ძველი, რუხი, ორნამენ-
ტიანი ქვებიცაა ჩადგმული.

ციტადელის მთავარი კარიბჭე გვიანფეოდალურ ხანაში უკვე დავიწროებულია და
უფრო „ახლებური“ იერისა ჩანს, ვიდრე ბაგრატ IV დროინდელი ციხის ფართე კარი
იყო.

გვიან გადაკეთებული ჩანს ის „ცოტა კარიც“, რომელიც ციტადელის აღმ. ზღუ-
დეშია ჩართული. ეს XI-XII სს. თაღით ამოყვანილი კამაროვანი ღიადი ახლა „გაუქ-



მებუღია“. კამარა საგანგებოდაა ამოქოლილი მომცრო ლოდებით. კამარის გეოქონიის შემდეგ, იქვე გვერდით გაჭრილი ჩანს ვიწრო, სწორკუთხა კარი, რომლის ბალახვარს ამავრებს ბრტყელი ლოდი. „ცოტა კარის“ სამხრეთ ფრთასთან წიგნიდან მიშენებული ჩანს ნახევარწრიული სამაგრი ბურჯიც, რომლის ღრწოები აქა-იქ ნატეხი აგურითაა შევსებული.

„ცოტა კარის“ ტეხილი გვირაბი, ჩანს, XIX ს-მდე ყოფილა მოქმედებაში, რადგან აქვე, საფეხურებზე ვნახეთ ზარბაზნის ყუმბარებთან ერთად არეული სხვადასხვა კერამიკული, მინისა და ლითონის ნივთიც, — ციხის ცხოვრებისა და სამხარე მოქმედების უკანასკნელი ეტაპის მანიშნებელი: თურქული ფაიანსისა ჯამი, კვიციხა და უდაბნოს პეიზაჟის გამოსახულებით მოხატული; ფაიანსისავე ყვავილოვანი და ცისფერი თასები; თიხის გაპრიანებული, დამლიანი ჩიბუხები; მჭრქალი მინის ყურბანი სასმისი, გოფირებული ტანით; ბრინჯაოს მუზარადის კონქი და სხვა.

ციტადელისა და ქარვასლის ეზოში სხვა, ახალი შენობებიც ჩანს აგებული. ოსმალთა პირველ შემოსევას უნდა მიეწეროს ქალაქის ჩრდ. დას. ბოლოში ქრისტიანული საყდრის საძირკვლამდე დარღვევა, რომელიც შემდგომ აღარ განახლებულა...

სამაგიეროდ, ალბათ მაშინვე, აუცილებლად შეჩეთი ძველი ქარვასლის ეზოში.

მეჩეთის გუმბათი ტრომპებზეა დაყრდნობილი და მთლიანად აგურითაა ნაგები; აგურის გამოყენებას კი სამშენებლო მასალად ახალქალაქში მხოლოდ გვიან პერიოდში ვხვდებით. მეჩეთის წიგნით მიკრულია არაბულწარწერიანი რომბული ფილა, რომელიც დასავლეთისაკენაა მიმართული.

ქარვასლის კამაროვან ნაგებობასაც გვიანდელი გადაკეთების მკვეთრი კვალი უჩანს ყურადღებას იქცევს აქ გათხრილი სამი სენაკის შიგნით ჩაშენებული გვიანდელი ფარდულების აგებულება. ეს უკანასკნელი ტალახით დაკავშირებული ქვის ძალზე სუსტი წყობითაა ნაშენი, რომელთა მიმართება არ ეთანხმება ძველ ნაშთთა საერთო ხაზს. შეინიშნება ქარვასლის ხელმოკრედ, გვიან შემკობის დამადასტურებელი დეტალებიც, ორნამენტური ქვების სახით (XVI-XVIII სს.).

ქარვასლის სენაკების გვიან გამოყენების ფაქტზე მიუთითებს აგრეთვე, აქ აღმოჩენილი თიხისა და მინის ჭურჭელთა ნიმუშებიც; მრავლადაა უანგობოდ, მწვანედ, ყვითლად, შაბაიშისფრად მოჭიქული ჯამების, ფიალების, ლამბაქების, ქილების ნატეხები; გვხვდება ცალყურა ტლანქი ქოთნებიც, წითელპირილა და ჭედულორნამენტური თიხის ჩიბუხები (თურქული); აქვეა მწვანე მინის ბოთლები, ქილები — სადა, ხან დამლიანი, თითქმის ყველა XVI-XVIII სს ნაწარმი.

ქალაქის უბნებში შემოსასვლელ ჭიწკრის გვერდით გათხრილი ნასახლარიც — III (სხვა, უფრო ადრეულ სამშენებლო პერიოდებს გარდა) ატარებს გვიანი ხანის „ცხოვრების“ კვალს.

ამხანად, ჭიწკრისგვერდა ნასახლართა ამ ჯგუფმა, ალბათ, მხოლოდ სამეთვალყურე — თავდაცვითი პუნქტის დანიშნულება მიიღო. აქ ჩანს სენაკთა საფუძვლიანი სახეცვლა: № 2 სენაკის შიგნით, კუთხეში, ჩადგმულია სუსტი კედლით შემოზღუდული ერთსაფეხურიანი პატარა სადგომი (№ 2ა), №-1 სენაკის მოზრდილი ნაწილი კი უჭირავს მიწის სქელ ფენაზე გამართულ, ცალიბრა ქვით ნაგებ სადგომს და მომცრო ქვაყულებს (უინვენტაროს).

აქ, შენობათა ზედა ფენის დათარღება ხერხდება XVIII ს. ვერცხლის მონეტით, რომელსაც აგრეთვე შეესაბამება იმ დროის მოჭიქული და მოუჭიქავი კერამიკაც.



„ხრათითი“. ცეცხლის შესანახი თიხის კურკელი, (XI-XII სს.).

«Хратити». — сосуд для хранения огня (XI—XII вв).

ახალქალაქის მიტაღები XIX ს. I ნახ.

დაბოლოს, XIX ს. პირველ ნახევარში და მოხერხდა ახალქალაქ-ახალციხის მხარის გაწმენდა ოსმალთა ურდოებისაგან. ახალქალაქის ციხე საბოლოოდ აღებულ იქნა 1828 წელს პასკევიჩის მიერ.

XIX ს. 30-იან წლებიდან ქარვასლის აღმოსავლეთი ფრთის თავდაპირველი გეგმა შევეთრადა სახეცვლილი წენობის ორ-სართულად გადაკეთების გამო. ამიერიდან იგი შეფის ჯარის სადგომია — „ყაზარმა“.

ამგვარად, არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ



განათხარის ნაშთები გვიჩვენებენ „ახალქალაქობის“ ხანაში წარმოქმნილი კონსტიტუციის მშენებლობისა და არქიტექტურის ხასიათს.

ციხე-ნაქალაქარის აღნაგობა: ციტადელი და მასთან მიმდგომი გარე და შიდა სამოსახლოები, ქარვასლა, სამლოცველოები, სამეურნეო-ხელოსნური პუნქტები მოწმობენ აქ ლონიერი ფეოდალური ხანის ქალაქის ცხოვრებაზე; ქალაქისა, რომელიც დაარსებიდან მოკიდებული — ვიდრე გვიანფეოდალურ ხანამდე მეტ-ნაკლებ, მაგრამ მაინც მონაწილეობს ქვეყნის საერთო სამშედრო-თავდაცვით, სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ახალქალაქი ისეთ ციხე-ქალაქთა ტიპს ეკუთვნის, რომლის ტერიტორიაზე შერწყმული ჩანს სიმაგრეთა თავდაცვითი სისტემა ქალაქურ ცხოვრებასთან. XI საუკუნის დამდევისათვის შექმნილმა სოციალურმა და ეკონომიურმა მომენტებმა განაპირობეს საქარავნო გზაჯვარედინზე წარმოქმნილი თუმცა „უზღუდო“, მაგრამ, შესაძლოა, დაბის ტიპის სამოსახლოს „გაქალაქება“ ანუ ციხე-გალანით გარშემორტყმულ ქალაქად გადაქცევა, რის შედეგადაც მიუღია მას სახელი „ხბლქალაქი ჯავახეთისაა“.

ახალქალაქი და მისი რაიონის ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები დღემდე უერთოდ არ არის შესწავლილი და თითქმის გაპარტახებამდგა მისული. ტერიტორიას დაცვა-ყურადღება აკლია და ინგრევა XI ს. ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი.

ფიქრობთ, ძეგლის განადგურების თავიდან აცილების მიზნით აქ, უპირველესად, საჭიროა სერიოზული და სისტემატიური კომპლექსური ექსპედიციების მოწყობა და ყველა მეტ-ნაკლები მომენტის რიგიანად შესწავლა; ქართულ მეცნიერების კერათა ამოცანაა — დაიცვას და აღადგინოს აქ ქართული სიძველენი, მეცნიერულად შეისწავლოს ეს ადგილები, მოახდინოს ძეგლთა ზედმიწევნით ფიქსაცია.

სასურველია, რომ რაიონის ძეგლების გადარჩენასა და შესწავლას აქ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს.

1 მატთანე ქართლისაჲ, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი..., ტ 202ა, A315, M387, ტ. 1, თბ. 1955, გვ. 298.
 2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 54
 3 ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 52-59.
 4 ს. ჯიქია, გურჯისტანის ვილაჟეთის დიდი თავთარი, წიგ. II-III, თბ., 1941, 1958.



ზუბის ციხე. ხედი ჩრდ. აღმოსავლეთიდან. ფოტო დ. ერმაკოვისა 1913 წ.

Крепость Зуби. Вид с северо-востока. Фото Д. Ермакова. 1913 г.

ჯამალ შარაშენიძე

თაკვერის ციხის ლოკალიზაციისათვის

ქველ ქართულ საისტორიო წყაროებში (XI-XII სს.) დღევანდელი ლეჩხუმი იხსენიება „თაკვერის“ სახელწოდებით. ვახუშტი გვამცნობს, რომ ცხენისწყლის ხეობის ლეჩხუმს თაკვერი შერქმევია მის ტერიტორიაზე მდებარე კვერის მთისა და იქვე არსებული თაკვერის ციხის სახელისაგან სწავლული ბატონიშვილი ამასთან დაკავშირებით წერს შემდეგს: „გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ქეობა ლეჩხუმისა, რომელსაც უწოდებენ თაკვერად. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსა მათაგან, კვერსავით მდებარისა — იხილე ესე მთა კვერი, — ანუ ციხისაგან ფრიად მაგარისა მუნვე თაკვერისა“.¹

თაკვერის ციხის ლოკალიზაციისათვის საჭირო პირველი ცნობები თვით ვახუშტის შეუგროვებია, რომელიც გვამცნობს: „ცხენისწყალს მოერთვის, გორდს ზეით, ჩრდილოდამ, კავკასის (ასხის მთის, ვ. შ.) გამომდინარე ჭევი და ამ ჭევეზედ არს ციხე თა



კუერი, მაღალსა კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი². თავისი ნაწრომისათვის თანდართულ ერთ-ერთ რუკაზე კი მას თაკვერის ციხე დაახლოებით იმ ადგილას დაუტანია, სადაც ახლა ზუბის ციხე მდებარეობს.

ცველაზე ადრეული წერილობითი ცნობა თაკვერის ციხის შესახებ განეკუთვნება VII საუკუნეს. როგორც ცნობილია, ამ ციხეში ზეამწყედის ბიზანტიიდან ლაზიკაში გადმოასახლებული, VII ს. ცნობილი საეკლესიო მოღვაწის მაქსიმე აღმსარებლის ერთ-ერთი მოწაფე, მასწავლებელთან ერთად ექსორიაქმნილი ანასტასი აპოკრისიარი, რომელმაც ლაზიკაში თავს გადამხდარი ამბები აღწერა ნინ წელს დაწერილ წერილში და ციხიდან გაუგზავნა იერუსალიმელ სუცეს თეოდოსი განგრელს. წერილის ბერძნულ დედაწიში ვკითხულობთ: „ჩვენ ორივე (იგულისხმებიან ანასტასი აპოკრისიარი და მეორე ტყვე ანასტასი ამბა, ჯ. შ.) მიგვიყვანეს მუკორისისი და... მაშინვე გადაგვგზავნეს, ის (ანასტასი ამბა, ჯ. შ.) სუანეთის ციხეში, ხოლო მე ვერეთწოდებულ თაკვრიის (თაკირიას) ციხეში³. წერილის გაგრძელების ლათინურ თარგმანში კი იკითხება: „მე დაუძღურებელი ვიწიქი ორი თვის განმავლობაში თაკვრის (Thacuryae) შემოსხენებულ ციხეში⁴. მოყვანილ ამონაწერში მოხსენებული „სუანეთის ციხე“ არის ცაგერთან მდებარე დღევანდელი მურის ციხე, ხოლო „თაკვრიის ციხე“, უჭკველად, იგივეა, რაც მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრების“ მეტაფრასტული რედაქციის ქართულ თარგმანში მოხსენებული „თაკოვერის ციხე“ და ვახუშტისეული „თაკვერის ციხე“ რომელიც ვახუშტისავე რუკის მონაცემებით მდებარეობდა დაახლოებით ზუბის ციხის (ცაგერის რაიონის სოფ. ზუბთან) მიდამოებში.

საქმე ისაა, რომ ვახუშტის დროს (XVIII ს. I ნახ.) არც ზუბის ციხის შემოგარენში და არც ცხენისწყლის ხეობაში საერთოდ თაკვერისად წოდებულ ციხეს არაფერი იცნობდა, რაც ჩანს იქიდან, რომ გერმანელ მეცნიერს გიულდენშტედტს 1771 წელს ამ მხარეში მოგზაურობის დროს ლეჩხუმის ციხესიმაგრეთა შორის თაკვერის ციხეს არ უსახელებენ.⁵ მაქსიმე აღმსარებლის „ცხოვრების“ სქოლიასტის ცნობით თაკვერის ციხე იგივეა, რაც კვარას ციხე, რომელიც მდებარეობს რაჭაში. ეს გარემოება იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ სახელწოდებით ციხეს ცხენისწყლის ხეობაში არც XI ს. იცნობდნენ. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ VII ს. წერილობით დამომწებელი „თაკვერის ციხის“ სახელი შეეკლია ძალზე ადრე, ჯერ კიდევ IX-X სს. ამიტომაც, რომ ახლა ძალზე ძნელი საქებნია, თუ რა სახელწოდებითაა მოხსენებული მოგვიანებით შედგენილ არც თუ ისე მრავალიცხოვან ისტორიულ წყაროებში ყოფილი თაკვერის ციხე. ვახუშტი მისი ლოკალიზაციის დროს, უნდა ვიფიქროთ, ძირითადად ეყრდნობოდა წერილობით ცნობებს და არა ზეპირ ინფორმაციას. ნავულისხმევ ცნობაში კი, ჩანს, თაკვერის ციხე იხსენიებოდა მხოლოდ მისი თავდაპირველი სახელწოდებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ვახუშტისთან, როგორც მას ჩვევია, მითითებული იქნებოდა ციხის ძველი და ახალი სახელიც.

ვახუშტის შემდეგ თაკვერის ციხის ლოკალიზაციის საკითხს არა ერთი მკვლევარი შეეხო სპეციალურად თუ გავკრით. პირველად ს. შესტაკოვმა მიუთითა, რომ თაკვერის ციხე შეიძლება მდებარეობდეს ცაგერთან⁷. 1909 წელს ამ საკითხს გაკვირით შეეხო თ. ფორდანიკა ერთ-ერთ თავის წერილობით ახსნა-განმარტებაში, რომელიც მან წარუდგენია იმერეთის ეპისკოპოს გიორგისათვის მაქსიმე აღმსარებელთან შეცდომით გაიგივებულ წმინდა მაქსიმეს საფლავის მდებარეობის საკითხთან დაკავშირებით. იგი წერს: „წმ მაქსიმეს საფლავი მდებარეობს: მურის ციხიდან არა უმეტეს 200 საფეხზე, თაკვერის ციხიდან — დაახლოებით 10 ვერსზე, ორბელის ციხიდან — 7 ვერს-



ზე...¹⁰ ამ შემთხვევაში ძნელია დავადგინოთ, თუ რომელ ციხეს გულისხმობს მკვლევარი. შეიძლება მას მხედველობაში ჰქონდეს დეზვირის ან ზუბის ციხე.

თაკვერის ციხის ლოკალიზაციით დაინტერესდა ა. ბრილიანტოვიც. მის ხელთ არსებული ცნობების სიმცირის გამო იგი იძულებული გახდა ელიარებინა, რომ ანასტასი აპოკრიზიარის წერილში მოხსენებული თაკვირიაა ციხის გაიგივება ზემოთ მოხსენებულ სქოლიასტისეულ კვარასთან, ვახუშტისეულ თაკვერის ანდა კიდევ დეზვირის ციხესთან, არ ხერხდებაო. იგი ხუთ და ათეწრსიან რუკებზე ეძებდა ციხეს „თაკვერის“ სახელწოდებით მდ. ცხენისწყლის ხეობაში, სადაც მას მიახლოებით ათავსებს ვახუშტი, მაგრამ ამ ციხეს აღნიშნულ რუკებზე ა. ბრილიანტოვი ვერ პოულობდა.⁹

ვახუშტისეულ თაკვერის ციხეს 1938 წელს ლეჩხუმის სამეცნიერო ექსპედიციის დროს საგანგებოდ ეძიებდა გ. ჩიტაია, მაგრამ მან ლეჩხუმში მდებარე დღეისათვის ცნობილ რომელიმე ციხესთან თუ ნაციხართან მისი გაიგივების საკითხი დატოვა ღიად, კითხვის ნიშნის ქვეშ¹⁰.

აღნიშნულ ციხესთან დაკავშირებით მ. ჩიჭოვანი ხაზგასმით შენიშნავს, რომ თაკვერის ციხე უდრის არა ზუბის, არამედ დეზვირის ციხეს¹¹.

ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით ცხენისწყლის ხეობის შესწავლისათვის ჩატარებული სპეციალური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილ ნაშრომში დ. მუსხელიშვილი მიუთითებს, რომ თაკვერის ციხე „უნდა მდებარეობდეს ან ს. ზუბის ასლოს, სადაც აღმოჩენილ იქნა ადრეფეოდალური ეპოქის დროინდელი ციხესიმაგრის დიდი ნანგრევები, ანდა ცაგერის რაიონის დღევანდელ სარაიონო ცენტრთან, სადაც გამოვლინდა აგრეთვე იმავე ეპოქის თავდაცვითი ნაგებობის კომპლექსი“¹².

ახეთია ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის მოკლე ისტორია. აქვე გვინდა სპეციალურად შევნიშნოთ, რომ ამა თუ იმ პუნქტთან თაკვერის ციხის გაიგივებისას მეტწილ მკვლევარებს არ მოჰყავთ რაიმე ხელშეშახები კონკრეტული მასალა მათ მიერ წამოყენებული მოსაზრების დასაბუთებლად (ახეთი მასალის მოხმობის გარეშე კი გაგვიჭირდებოდა როგორც ვახუშტის, ისე მის შემდეგდროინდელ მკვლევართა მოსაზრებების შემოწმება და მით უფრო გაზიარება).

რადგანაც დღეისათვის ჩვენ არ გავაჩნია რაიმე საიმედო წერილობითი წყარო ვახუშტის ცნობის შესამოწმებლად, საჭიროა მთელი სიმძიმე გადავიტანოთ მხოლოდ ტოპონიმიკურ მასალაზე. უპირველეს ყოვლისა უნდა მოვიძიოთ ვახუშტისეული „მთაკვერი“, რომლის სახსლოვეს, მისივე ცნობით, მდებარეობდა თაკვერის ციხე.

სანამ სათანადო მასალის გაანალიზებაზე გადავიდოდეთ, საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ, როგორც შენიშნულია, ვახუშტი ამა თუ იმ პუნქტის შესახებ ცნობებს გვაწვდის ზოგადი სიზუსტით (ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ნაშრომის წერისა და რუკების შედგენის პირობები), მაგრამ ეს დაახლოებითი სიზუსტე არასოდეს არაა გაურკვეველი, დაუდგენელი შინაარსის მქონე. აქედან გამომდინარე არ გვმართებს დაეჭვება და სრული უნდობლობის გამოჩენა იმაში, რომ თაკვერის ციხის პირობითი ნიშანი ვახუშტის რუკაზე დაახლოებით მაინც იმ ადგილასაა დატანილი, სადაც იგი უნდა მდებარეობდეს. ეს ადგილი კი დღევანდელი ზუბის ციხის მიდამოებია. ვახუშტის მინიშნების ზოგად სისწორეში ჩვენ კიდევ უფრო გვარწმუნებს ის ფაქტი, რომ ზუბის ციხის ირგვლივ მდებარე არც თუ ისე დიდ ტერიტორიაზე ერთბაშად იყრის თავს — კვერ — \angle — კვერ — ფუძიანი რამდენიმე ტოპონიმი. აქედან გან ვიხილავთ დღეისათვის გამოვლენილ ზოგიერთ მათგანს.



1. მდინარე კვერეშულა, რომლის ფუძეშიაც (კვერ-ეშ-ულ-ა) ჩვენთვის საინტერესო სახელი. სუფიქსი — ეშ სვანური ენის კუთვნილია და წარმოადგენს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის — აშ-ის ფონეტიკურ განვითარებას. იგი ძალზე პროდუქტიულია კიდრონიმების წარმოებისას (შეად. კერ—აშ, გუგ—აშ-ლელები მულახში, მესტიის რ-ნი; იელბ—ეშ-მდინარე იაფარში, მესტიის რ-ნი)¹³. მომდევნო—ულ სუფიქსიც სვანურია. იგი კინობოთობის მაწარმოებელ ქართულ — ა-ს შეესაბამება. უკანასკნელი — ა სუფიქსიც სვანური ენის კუთვნილებაა. ის უმეტესად—ულ სვანურ სუფიქსიან კიდრონიმებში გვხვდება (შეად. ხელედ-ულ-ა, ლასკად-ულ-ა—მდინარეები ლენტეხის რაიონში). ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ თავისი მნიშვნელობით იგი ქართულ კინობოთ სუფიქსს — ა-ს შეესაბამება და წარმოადგენს საერთო ქართველური ენის რელიქტს სვანურში.

განხილული კიდრონიმი „კვერეშულა“ შეიძლება ვთარგმნოთ ამგვარად: „(მთა) კვერის პატარა (მდინარე)“.

2. გორა კვერეშობჰარდი < კვერეშობჰარდი. იგი აღმართულია ცხენისწყალთან მდინარე კვერეშულას შერთვის მარცხენა კუთხეში და გასდევს ამ უკანასკნელს სათავესაკენ თითქმის მთელ სიგრძეზე. ჩანს, აღნიშნული ტოპონიმი წარმომდგარია ასევე კვერის მთის სახელწოდებისაგან — კვერ-ეშ-ი(ს) გვერდი „(მთა) კვერის გვერდი“ (მოსალოდნელია, თავდაპირველი სვანური სახელწოდება ამ გორისა იყო უბრალოდ კვერეშ „კვერისა“ ანდა „კვერეშ“ + გორას ან გვერდის აღმნიშვნელი სვანური სახელი).

3. სპკვერმი. ასე ეძახიან მახლობელი სოფლების (ოყურეში, ზუბი, მახურა, ისუნდერი) მცხოვრებნი ასხის მთის მასივის ვრცელ ტერიტორიას, საიდანაც სათავეს იღებს მდინარე კვერეშულა სა—...—ე აფიქსებით ნაწარმოები ეს ტოპონიმი (სა-კვერ-ი-ე) ვარკვევით მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ამ მხარეში წყაროებით გვიან მოსულ ქართულენოვან ტომებს აღნიშნული ტერიტორიის ამგვარი სახელწოდება წარმოუქმნიათ იქვე მდებარე კვერის მთის სახელისაგან.

4. მთა და საბალახო სპკვერა. იგი მდებარეობს ასხის მთის მასივზე, მდინარე კვერეშულას სათავეს პირდაპირ. სოფელ კინჩხის მკვიდრის ივ. კიკაბიძის მიერ მოწოდებული ცნობით თავკვერა < (მ) თავკვერა „ძალზე მაღალი გორაა, რომლის სიგრძეა 12 კმ. იგი მთავრდება „კართან“. თავკვერა არის გორაც და საბალახოც“. უეჭველია, ეს ის „მთა კვერია“, რომელზედაც, როგორც ორიენტირზე, მიგვანიშნებს ვახუშტი მთის თანამოსახელე ციხის ლოკალიზაციის საკითხზე საუბრისას.

როგორც ვხედავთ, კვერ < კვერ ფუძიანი ტოპონიმები, რომლებიც „მთა კვერის“ სახელიდანაა ნაწარმოები, გავრცელებულია ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე — აღმოსავლეთით, დღევანდელი ზუბის ციხიდან მოყოლებული, დასავლეთით, ვიდრე ე. წ. კარამდე, რომელიც წარმოადგენს ასხის მთაზე მდებარე ბუნებრივ კლდეკარს, სადაც ოდითვანვე გადიოდა და ახლაც გადის ლერწმუმიდან სამეგრელოში გარდამავალი გზაბილიკი.

აღნიშნული ტოპონიმების გავრცელების არეალზე შეიძლება დამოწმებულ იქნას სულ ცოტა ოთხი ციხის არსებობა — ისუნდრის, ზუბის, ქვაბკარისა და ქვაწითლის ციხეები. პირველი ორი ციხის ტოპოგრაფია დაწვრილებითაა წარმოდგენილი დ. მუსხელიშვილის ნაშრომებში, რაც გვანთავისუფლებს ჩვენ მასზე შერჩერებისაგან. ორი უკანასკნელი ციხის შესახებ კი სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე არაფერია ნათქვამი. ამდენად საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მივეუთოთ მათ კონფიგურაციაზე მაინც



ქვაბბარის ციხე. იგი მდებარეობს მდ. კვერეშულას ცხენისწყალთან შეერთების მარჯვენა კუთხეში აღმართულ ბორცვზე. წყალტუბო-ცაგერის ცენტრალური გზის მშენებლობასთან დაკავშირებით აღნიშნული ციხის ნანგრევები თითქმის მთლიანად განადგურებულა. ამჟამად შემორჩენილია მხოლოდ ციხის დასავლეთი კედლის მცირე ნაშთი, რომელთანაც ს. ზუბიდან მისასვლელი ნაბილიკარი ხშირი ბუჩქნართაა დაფარული. ზუბის ციხიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ქვაბბარის ციხის ნანგრევები მოშორებულია დაახლ. 1,5 კმ-ით.

ქვაწითლის ციხე. იგი აგებული ყოფილა მდ. კვერეშულას მარცხენა ნაპირზე მდებარე შემადლებულ ბორცვზე, რომელიც ქვაბბარის ციხიდან დასავლეთით 1,5-2 კმ-ზეა დაშორებული. ნანგრევები ამჟამად მთლიანად დაფარულია ხშირი ბუჩქნართა და ეკალ-ბარდებით.

როგორც ზუბის, ასევე ქვაბბარისა და ქვაწითლის ციხეები განლაგებულია რიონის ხეობიდან ცხენისწყლის ლეჩხუმის გავლით სამეგრელოში მიმავალი გზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაკვეთზე, საკუთრივ ზუბის ციხე კი აგებულია, ერთის მხრივ, რიონის ხეობიდან ლეჩხუმ-ოდიშისაკენ და მეორეს მხრივ, იმერეთიდან ლეჩხუმში ცხენისწყლის ხეობით მიმავალი გზების გადაკვეთაზე. იმერეთ-ლეჩხუმის გზაზე ზუბის ციხის ფორპოსტია ისუნდრის ციხე, ხოლო ლეჩხუმ-ოდიშის გზაზე — ქვაბბარისა და ქვაწითლის ციხეები. ამათგან ქვაბბარის ციხე ზუბისა და ქვაწითლის ციხეების ურთიერთდამაკავშირებელი, მათ შორის მდებარე სასიგნალო პოსტია. ცენტრალური გზების შედარებით პატარა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვან მონაკვეთზე განლაგებული ეს ოთხი ციხე ქმნის ერთ მთლიან კომპლექსს, რომელშიაც მეთაურის ფუნქციები ამათგან მთავარს — ზუბის ციხეს აქვს შენარჩუნებული.

აღნიშნული ოთხი ციხიდან, ჩანს, ერთ-ერთი ატარებდა „თაკვერის ციხის“ სახელწოდებას, მაგრამ რომელი? ვახუშტის ტექსტის მიხედვით თაკვერის ციხე მდებარეობს მთა კვერთან ახლოს, მუნევეო, ამბობს ავტორი. მაშინ გამოდის, რომ ასეთად უნდა ჩაითვალოს ქვაწითლის ციხე, რომელიც ყველაზე ახლოსაა კვერის მთასთან, თაკვერასთან (დაახლ. 2 კმ-ზე). ვახუშტის რუკაზე კი თაკვერის ციხის აღნიშნული პირობითი ნიშანი დატანილია ზუსტად იმ ადგილას (თითქმის ზუსტად), სადაც ქვაბბარის ციხის ნანგრევებია დამოწმებული. მაგრამ ჩვენ შემთხვევაში მივუთითებთ, რომ ვახუშტის ტექსტისა და რუკის მონაცემების კრიტიკული გასინჯვა არ გვაძლევს უფლებას ტოპოგრაფიული სიზუსტის დონეზე ვენდოთ მათ მონაცემებს. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში კი ასეთი ნდობის გამოჩენისას ტექსტი უპირატესობას აძლევს ქვაწითლის ციხეს, ხოლო რუკა — ქვაბბარის ციხეს. ვფიქრობთ, არც ერთისა და არც მეორის გაიგივება თაკვერის ციხესთან არ შეიძლება ისევე, როგორც ყოველგვარ საფუძველს იქნებოდა მოკლებული, ვთქვათ, ისუნდრის ციხის თაკვერისად გამოცხადება; სამივე ეს ციხე (ისუნდრის, ქვაბბარის, ქვაწითლის) სასიგნალო კოშკები, ძირითადი ციხის — ზუბის ციხის დამხმარე სიმაგრეები იყო, ვიდრე დამოუკიდებელი, თავისთავადი ციხეები არც ტერმინის სრული მნიშვნელობით. ამიტომაცაა, რომ ისინი არა აქვს მოხსენებული არც ვახუშტის და მითუმეტეს არც გიულდენშტედტს. ნაკლებ მოსალოდნელია, რომ მთელი ხეობის ან მთის სახელი მიეკუთვნებინათ ამ მეორეხარისხოვანი ციხეებისათვის მაშინ, როცა ციხეთა შემთხვევითი განხილულ კომპლექსში გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა დღეისათვის ზუბისად წოდებულ ციხეს.

ყოველივე შემთხვეული, ვფიქრობთ, იძლევა საშუალებას დავასკვნათ შემდეგი: 1). თაკვერის ციხე ვახუშტის ცნობებისა და ტოპონიმოგური მასალის მონაცემთა



საფუძველზე უნდა ვეძებოთ მხოლოდ და მხოლოდ მდინარეების კვეთის წერტილებს და ცხენისწყლის შესაყარის მიდამოებში, ზემოთ აღნიშნული ცენტრალური გზების გადაკვეთის პუნქტში. 2). ამ ადგილებში დამოწმებული ოთხი ციხის კომპლექსში გაბატონებული მდგომარეობის მქონე დღევანდელი ზუბის ციხე უნდა წოდებულიყო თავვერის ციხედ.

¹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 784. 15-18.

² იქვე გვ. 748-749:24-26, 1.

³ ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, VI, 1, თბ., 1941, გვ. 43.

⁴ იქვე გვ. 44.

⁵ კ. კეკელიძე, კიმენი, ტფ., 1918, გვ. 94; მისივე Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике, ეტიუდები VII, თბ., 1961, გვ. 30.

⁶ ვოლდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1, თბ., 1962, გვ. 327.

⁷ С. Шестаков, Папа Мартин I в Херсоне, «Труды XIII археологического съезда в Екатеринославе, 1905 г.», I, М., 1908, გვ. 142.

⁸ მოგვევას ა. ბრილიანტოვის მიხედვით: იხ. А. Бриллиантов, О месте кривины и погребения св. Максима Исповедника, «Христианский Восток», VI, 1 (1917), გვ. 24.

⁹ А. Бриллиантов, დასახ. ნაშრ., გვ. 34, შენიშვნა.

¹⁰ გ. ჩიტაია, ლეჩხუმის ექსპედიციის მოკლე ანგარიში, საქართველოს საბელმწიფო მუზეუმის მოამბე, XII B (1944), გვ. 267.

¹¹ შ. ჩიქოვანი, ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1971, გვ. 88, 90.

¹² Д. Л. Мухелишвили, Основные вопросы исторической географии Грузии (автореферат докторской диссертации) Тб., 1973, გვ. 22.

¹³ აღ. დ. ლ. ნ. ტ. ტოპონიმოლოგია ძიებანი 1, თბ., 1971, გვ. 31.



ოპზის რელიეფი.

Рельеф из Опизы.

სარა ბარნაველი

ქართული შუასაუკუნეების რელიეფების დაწესების საკითხისათვის

ქართულ რელიეფებში, ჩვეულებრივი ძეგლების გარდა, სადაც გამოხატულება არის ფონს ზემოთ, არის სხვაგვარიც, სადაც გამოხატულების კონტურს შეადგენს ღრმა და განიერი ღარი, ამასთან თვით გამოხატულება ფონზე შალალი არ არის.

ზოგიერთი ამ ძეგლთაგანი ბრტყელი ზედაპირით, სრული ამოღრმავებული კონტურით, შეიძლება მიეკუთვნოს პრიმიტიულ ნაწარმოებთ. სხვა რელიეფებში, რომლებიც პროფესიულ ოსტატთა მიერ არის შექმნილი, ღრმა კონტურული ზოლი თან სდევს გამოხატულების ზოგიერთ ნაწილს, ან მთლიანად მოდელირებულ გამოხატულებას.

უკანასკნელი რელიეფები ტექნიკის მხრივ შეიძლება შევადაროთ შუასაუკუნეების ქართულ არქიტექტურულ ძეგლებს, განსაკუთრებით XIII-XVI სს., არქიტექტურულ დეტალებისა და ორნამენტების გაფორმების მხრივ.

თავის პარალელებს ეს რელიეფები კპოვებს ძველი აღმოსავლეთის ხელოვნებაში,



ქვარი. ადრნარსის რელიეფი.



ზედაზენი. რელიეფი.

Зедазени. Рельеф.

განსაკუთრებით ეგვიპტეში.

ამ თვისების დიდი ხანგრძლივობა ქართულ რელიეფებში, თავისებურებანი, გახსირება განვითარებულ შუასაუკუნეების შემდგომ მახლობელ ეტაპზე, გვანიშნებს, რომ ჩაკვეთილკონტურებიანი ქართული ძეგლები არ უნდა იყოს გადმოღებული, არამედ ეს არის ადგილობრივი — ქართული ხელოვნება.¹

კომპოზიციის ნაწილების გამოყოფა სხვადასხვა საგანგებო ჩარჩოებში, როგორც ეტყობა, რელიეფის ქართველ ოსტატათვის უცხო არ იყო.

შეაფიოსა და უაღრესად თავისებურ მაგალითს იძლევა მცხეთის ჯვარის აღმოსავლეთი ფასადის რელიეფები.



სამი ქტიტორული პორტრეტი, განლაგებული სამი სარკმლის ზემოთა ნაწილში. ნუბინაშვილის საყურადღებო დაკვირვებით, შეადგენს „დიდი მთლიანი კომპოზიციის განცალკევებულ ნაწილებს... ეს არის ორგანიული მთლიანობა, გაზრდილი ერთი ჩანაფიქრიდან და გამოვლენილი მხატვრულ ფორმებში, რომლებიც იყო ურთიერთ შეთანხმებული და დაკავშირებული და ერთმანეთს აპირობებდნენ“².

შუალა რელიეფი, მოთავსებული შუა სარკმლის ზემოთ, წარმოადგენს ქრისტეს, რომელსაც ხელი აქვს დადებული მუხლმოყრილ პატრიკიოზის სტეფანოსის თავზე. მარცხენა სარკმლის თავზე გამოხატულია მთავარანგელოზი მიქაელ, რომელსაც ფრთები გაუშლია მუხლმოყრილ დემეტრე ვიპატოსის ზემოდან, მარჯვენა სარკმლის თავზე კი გამოხატულია გაბრიელ მთავარანგელოზი და ადრნსე ვიპატოსი თავის შვილთან ერთად. მარჯვენა და მარცხენა რელიეფების ფიგურები მიმართულია შუა რელიეფისაკენ, — ქრისტეაკენ — და ეს არის გაერთიანების ხერხი.

თითოეული ამ გამოხატულებათაგანი — სამნაწილედი რელიეფის ელემენტები, მოთავსებულია ცალკე ჩარჩოში. საგანგებოდაა აღსანიშნავი არა მარტო გვადრუცი, არამედ მისი ჩარჩოები — ლარტყისებრი ელემენტები.

საყურადღებოა დიდი სითამამე ჩარჩოს მიმართ. ჩარჩოები საკვებით ექვემდებარება გამოხატულებას, ფართოდ იწევეს განზე, ანდა იკუმშება რელიეფის ნაწილის საჭიროებისათვის: მიკვება ფიგურების ნაწილებს, გამოწეულ ხელს შეესატყვისება ჩარჩოს გამოწევა, ჩარჩო გაფართოებულია გაწეული ფეხის გამო და სხვ. შეიძლება აქ ერთის მხრივ მოქმედებდეს ე. წ. „სიცარიელის შიში“, მაგრამ მაინც უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის სითამამე, რომელიც ჩარჩოს მიმართ ჩანს. თავისუფლება ჩარჩოს გამოყენების მხრივ მიდის იქამდე, რომ ჯვარის ტაძრის რელიეფებზე ოსტატს პერსონაჟის ნიშმი გადააყავს თვით ჩარჩოზე (მაგალითად, ანგელოზის ნიშმი ადრნსეს რელიეფზე, ანდა ფეხები, მოთავსებული ჩარჩოებზე).

აქ ვხედავთ კიდევ ერთ საინტერესო მომენტს. გაბრიელ მთავარანგელოზის ხელი, რომლითაც ის მაუთითებს ქრისტეზე, გადადებულია თვით ჩარჩოზე. ეს კვლავ ნიშნავს, რომ თითოეული ნაწილი თავისთავად არ წარმოადგენს დასრულებულ სურათს და ხელი კომპოზიციის გაერთიანებას ემსახურება.

სამნაწილედი რელიეფი, შესანიშნავად არის განსაზღვრული როგორც ტრიპტიქონი აკად. გიორგი ნუბინაშვილის მიერ: „აღმოსავლეთის ფასადის „ტრიპტიქონი“ ათავსებს ცენტრალურ ადგილზე სტეფანოს I-ს, მის აქეთ-იქით მხარეს კი დემეტრეს და ადრნსეს“³.

საყურადღებოა ტრიპტიქონის შესრულება ქვაზე და მისი ადრეული ხანა.

მომდევნო ხანაში, IX ს., მსგავსი მოვლენა ხდება ოპიზის რელიეფზე⁴. მთლიანი რთული კომპოზიციის ნაწილები მოთავსებულია განცალკევებულ ჩარჩოებში: ცალკე ჩარჩოშია გამოკვეთილი ერთ ფილაზე აშოტი ეკლესიით ხელში, მეორეზე — ქრისტე და დავით მეფე. სცენა სიმბოლურია. გამოხატავს, როგორც ე. თაყაიშვილს აქვს განმარტებული, ბაგრატიონთა გვარის ნათესაობას თვით ქრისტესთან, ბიბლიური დავით მეფის-წინასწარმეტყველის მეშვეობით, რომელიც ღვთისშობლის ჩამომავლად ითვლებოდა. აშოტ კურაპალატი სწირავს ქრისტეს ეკლესიას.⁵

ორ ფილაზე, ცალკე ჩარჩოებში განთავსებულია კომპოზიცია, რომელიც ერთიანდება იმით, რომ ერთი ფილიდან „ქრისტეს მარჯვენა აშოტის გამოსახულებიდან ფილაზე გადადის, და ამრიგად, თითქოს დამოუკიდებელ გამოსახულებებს ერთმანეთთან აკავშირებს“⁶.

აქაც კვლავ ვხედავთ დიდ სითამამეს ჩარჩოს მიმართ.

საყურადღებოა, რომ ქრისტეს მაკურთხეველი ხელის მოსათავსებლად მოწოდებულია ჩარჩოს ნაწილი.

ისევე, როგორც ჯვარის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის რელიეფები ტრიპტიქონს წარმოადგენს, აქაც, რადგან შემადგენელი ნაწილები დამოუკიდებლად არ განიხილება, სრული უფლებით შეიძლება კომპოზიციას დიპტიქონი დაერქვას.

რელიეფის ნაწილების განცალკევების მკაფიო მაგალითს და ამავე დროს, ფონის მოწყობის საინტერესო ნიმუშს ვხედავთ ქალეთის ძეგლზე.⁷ სანათლავის რელიეფს, რომელიც წარმოადგენს ნათლისღების სცენას, საზღვრავს ჩარჩო. ჩარჩოს ქვედა კიდე ნებისმიერად მიიმართება კომპოზიციის თითოეული ელემენტის მოსათავსებლად. მარჯვნიდან ის ჯერ ერთ დონეზე ქმნის ნიადაგის ზოლს — ზედ ორი ანგელოზის გამოსახულებით, შემდეგ ჩარჩო აიწევს პატარა საფეხურად და ფონზე ვხედავთ მნათობის სახეს. კიდევ ერთი საფეხური და ზედ ქრისტესი და იოანე ნათლისმცემლის გამოსახულებაა. ცალკეა მოცემული პატარა, მთლიანი ჩარჩოსებური ელემენტი მტრედისათვის. ეს ჩარჩოსებური სახე უნდა იყოს გააზრებული როგორც მუქის განიერი სვეტი ჩამოსული ციდან. მაგრამ აქ გამოყენებულია მხატვრული თვალსაზრისით, როგორც რელიეფის ნაწილის შემომსაზღვრელი.

ამას ამტკიცებს ისიც, რომ ოსტატს მოუსურვებია შემოსაზღვრა აგრეთვე სხვა შინაგანი ჩარჩოს შექმნითაც: იმ ანგელოზის წინ, რომელიც დგას ქრისტესაგან მარჯვნივ. უფრო ახლო, ჩამოსუებულია ვერტიკალური ბოძისებური ზოლი. მას მარცხნივ, ზემო ნაწილში აქვს დამატებული ასევე ურთიერთგადამკვეთი ხაზებით დამუშავებული ზოლი, იგი ერთვის მტრედის მოსათავსებელ ჩარჩოს.

აღსანიშნავია, რომ ზედაზნის რელიეფზედაც ვხედავთ ვერტიკალურ ხაზს, კომპოზიციის ნაწილის გამოსაცალკევებლად.

ზემო ნაწილში აქაც, მცირე კუთხის ქვეშ, დამატებულია ლარტყისებური ნაწილი, ქვემოთ კი ვერტიკალი მოლუნულია კვლავ კუთხის ქვეშ მკლავის სახედ. მის ქვემოდან ქტიტორის ფიგურაა მუხლმოდრეკილი.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვერტიკალური, შინაგანი ჩარჩოსებური ნაწილი მოქანდაკეს შეწყვეტილი აქვს ამოტეხვის სახედ, ანგელოზის წინწაწვილი ხელების მოსათავსებლად.

ჩარჩოს ასეთივე ამოტეხვის ხერხი, კომპოზიციის ნაწილების შინაგანი შეკავშირებისათვის, დავინახეთ ოპიზის რელიეფზე.

თუ როგორ უნდა იყოს გააზრებული ეს ჩამოსუებული ზოლი, არ ჩანს, მაგრამ აქაც უნდა ვიგულისხმობთ მთავარი იდეა — კომპოზიციის ნაწილის ჩარჩოში ჩანსმის მისწრაფება — კვლავ დიპტიქისებური კომპოზიციის ჩანაფიქრი.

სხვაც ბევრი რამ აერთიანებს ქალეთისა და ზედაზნის რელიეფებს. სტილის მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა და მიმზიდველი დაკეცილი ფრთებივით შესრულებული წამოსასხამები და ქიტონების ერთნაირი ნაკეციები.

ამ ძეგლების რელიეფების შინაგანი შემოსაზღვრის მოვლენა შემთხვევითი არ ჩანს. განხილული ძეგლები მიეკუთვნება ქართული შუა საუკუნეების ხელოვნების გაფურჩქვნის წინა პერიოდს.



შემოსაზღვრის მხატვრული ხერხი სხვაგვარად მოცემულია შიომღვიმის კანკელის XI საუკუნის რელიეფზე წმ. შიოს ცხოვრებიდან, სცენაში, რომელშიც მოხატულია მისი შეხვედრა წმ. შიოს.

აქ კომპოზიციის ნაწილები, რომლებსაც აერთიანებს სიუჟეტის საერთო ქარგა, თითქოს ჩასმულია ცალკე ამოღრმავებულ კერძო ფონებში, — ერთ საერთო ზედაპირზე: „გამოქვაბულის მსგავს მცირე ამოღრმავებაში“.⁹

საინტერესო შემოქმედებითი მონაპოვარია: სიუჟეტის მიერ ნაკარნაჩვეია გამოქვაბულის სახე, ოსტატი იმყოფება შთაბეჭდილების ქვეშ. მაგრამ შინაარსობრივ გამოქვაბულისებურ ამოღრმავებაში მოთაესება შეესაბამება მხოლოდ წმ. შიოს ფიგურას. ლოგიკურად ვერ შეეფერება ის ევგარეს, ცხენზე მჯდომს. თვით იესოსთვის, რომელიც იგულისხმება ზეცაში, — მოქანდაკე იყენებს გამოქვაბულის მოტივს. ამ შემთხვევაში აქ არის სხვაობა წინა მომენტებისაგან: ქრისტეს ნახევარფიგურის კონტურები მარჯვნიდან და მარცხნიდან ახლოა მიჯრილი გამოქვაბულთან, თითქმის მიკვეება მას, და ღრმადაა ჩაკვეთილი.

ეს ხერხი გვაგონებს ჩაძირული რელიეფის ხერხს, მით უფრო, რომ ამ ჩაკვეთილ კონტურებს აკვეება ქრისტეს ფიგურის მოდელირებული ზედაპირი. შიოს, და განსაკუთრებით ევგარეს და მისი ცხენის ფიგურების კონტურები გამოქვაბულიდან განზუა.

განხილულ მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა თავისებურება კონტურებისა, ფონისა და ჩარჩოს მოწყობის საქმეში თავს იჩენს ქართულ ორიგინალურ რელიეფებში.

პირველ რიგში ეს ეხება ჩაძირულ რელიეფებს, რომლის ნიმუშებს ვხედავთ ხანგრძლივი დროის მანძილზე.

რაც შეეხება ფონის ნაწილების გამოცალკევების საკითხს, საყურადღებოა მცხეთის ჯვრის რელიეფები, რომლებიც ადგილობრივ მმართველთა პორტრეტებს წარმოადგენენ. ეს ეხება VI-VII საუკუნეებს.

ასევეა შემდეგ, როდესაც ქართულმა პლასტიკამ უარყო დასავლეთი და საკუთარ ძიებათა გზას დაადგა. ეს ხანა მოდის VIII-IX საუკუნეებზე¹⁰.

ამ დროს ბიზანტია მოიცვა ხატების წინააღმდეგ ბრძოლის მოძრაობამ. საქართველოში ამ მოვლენას არ ჰქონია ადგილი.¹¹

საქართველო ამ დროს უნდა განთავისუფლებულიყო ბიზანტიის კანონმდებლურ გავლენისაგან იკონოგრაფიის დარგში და საფიქრებელია ჰქმნიდა საკუთარ პლასტიკურ ნაწარმოებებს უცხო, ბიზანტიური სახეების გარეშე.

მკვეთრ მაგალითს ვხედავთ გველდესის ერთ ფილაზე. ეს ფილა ამჟამად დაკარგულია.¹² მასზე ამოტივტივდა იკონოგრაფიულად სრულიად უჩვეულო სახეები, რომლებიც მიგვიტოვებენ ძველ წინააზიურ ანდა საზოგადოდ ძველ აღმოსავლურ, და კერძოდ ქართულ პანთეონზე. კომპოზიციის მიემსგავსება საკუთრებულ წინდანებით და სიმბოლოებით სავსეს. კანკელის მთელი კომპოზიციისათვის დამახასიათებელია დომინანტი — ფანტასტიკური ყელმადალი ფრინველი. მაგრამ უპირველესი ადგილი მნიშვნელობის მხრივ უჭირავს მთავარ ფილაზე ყურძნის მტევნების აქეთ-იქით გამოსატულ მტრედისსახე ორ ფრინველს. სრულიად უჩვეულოა ფრინველებისათვის მიკუთვნებული საპატიო ადგილი ჯვარცმის ზემოთ. მათ არკისებურად, ანდა უკეთ, — ფრონტონისებურად გადააფარებია — ორი ღვთაება ადამიანის სახით, შესაძლოა, აქ გვაქვს სიმბოლოურად გამოხატული ცის კამარა, როგორც არის ძველ ეგვიპტურ იკონოგრაფიაში¹³.



ქალეთი. ხანათლის რელიეფი

Жалети. Рельеф крещения.

ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორი ფრინველისათვის შეიძლება მოინახოს ანა-ლოგია საქართველოს მიწა-წყალზევე. სახელდობრ, ზემო-ავჭალაში ნახულ გემმაზე¹.

საინტერესოა სხვა გარემოებაც: მთელ კანკელზე ოთხჯერ არის გამოხატული ღვთისმშობელი ყრმით. ამით ხაზი ესმება სინათლისა და ნაყოფიერების კულტს, რომლის ძირები საქართველოში განსაკუთრებით მძლავრია. თვით მთავარ ფილაზე, ერთმანეთის მხარდამხარ, ჯვარცმის ახლოს გამოქანდაკებულია ორი დედა-ღვთაება ყრმებით ხელში. შეიძლება დედა-შვილთაგან ერთი გამოსატკავდეს საქართველოში გავრცელებულ წმინდანებს — კვირიკესა და ივლიტას — დედას და წამებულ შვილს — ანალოგიას ღვთისმშობლისა და იესოსი.

ზემოაღნიშნული რელიეფები: ოპიზისა, ქალეთისა და ზედაზნისა — სწორედ ქართული პლასტიკის გაფურჩქვნის წინა ხანას, VII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება.

ქართული შუა საუკუნეების პლასტიკის გაფურჩქვნის ხანად — XI საუკუნე გვაძლევს შესაბამის ნიმუშს — შიომღვიმის რელიეფს, ნაწარმოებს, რომელიც წარმოიშ-



ვა საქართველოს წმინდანის — შიო მღვიმელის ცხოვრების ასახატავედ, რეალობაზე
 ლება არ სარგებლობდა შხა ნიმუშით¹⁵.

შემდეგი ეტაპი — გვიანი ფეოდალური ხანის დასაწყისი — ხახათდება საკუ-
 თარი ხაზით, ამოღრმავებული კონტურების მოცემის მხრივ.

ეს იყო ხანა, როდესაც ქართული ხელოვნება განსაკუთრებით საზრდოობდა თავის
 წარსულზე დაყრდნობით¹⁶.

¹ ს. ბარნაველი, შუასაუკუნეების ქართული რელიეფების ერთი ჯგუფი. გ. ჩუბინაშვი-
 ლის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXV სამეცნიერო სესია, მი-
 ძღვნილი აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის ხსოვნისადმი. თეზისები. თბილისი, 1974 წ.

² Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джавери, Тб., 1948, текст, стр. 142, 144.
³ იქვე გვ. 155.

⁴ ნ. აღაძაშვილი, რელიეფი ოპიზიდან ამოტ კერამიკატის გამოსახულებით, საქ. სსრ
 მეცნ. აკად. მოამბე. ტ. XV, № 7, 1954, გვ. 553.

⁵ Е. Такашвили, Грузинские надписи на археологических предметах, хранящихся
 в Кавказском Музее в Тифлисе. Археологические экспедиции, разыскания и заметки,
 Вып. II, Тифлис, 1905, стр. 57—58.

⁶ ნ. აღაძაშვილი, რელიეფი ოპიზიდან ამოტ კერამიკატის გამოსახულებით. გვ. 553.

⁷ ნ. ქაღვიშვილი, ეალეთის ზუროთმომღერული ძეგლი, თბილისი, გვ. 57-62.

⁸ ანელი ვოლსკაია, ზედაზნის რელიეფი, ძეგლის შევობარი, 26, თბილისი, 1971, გვ. 13.

⁹ А. Вольская, Рельефы Шномгвие и их место в развитии грузинской средневеко-
 вой скульптуры, Тб., 1957, стр. 47.

¹⁰ გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული ოქროშვედლობა VIII-XVIII საუკუნეებისა, თბილი-
 სი, 1957, გვ. 5.

¹¹ ივ. წავაძიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, 1948, გვ. 118.

¹² Рейз Шмерлинг, Малые формы в архитектуре средневековой Грузии, Тб., 1962,
 стр. 71.

¹³ П. Д. Шантени-де-ла Сосей, История религий, С.-Петербург, 1904, стр. 182, рис. 3.

¹⁴ М. И. Максимова, Геммы из некрополя Мухети — Самтавро. საქ. საზ. მეც. მოამბე,
 XVI ს., თბილისი, 1950, გვ. 227, 229.

¹⁵ А. Вольская, Рельефы Шномгвие, стр. 47.

¹⁶ გიორგი ჩუბინაშვილი, ქართული არქიტექტურის გზები, ტფილისი, 1936, გვ. 134-
 უახტანგ ბერიძე, სამცხის ზუროთმომღერება XIII-XVI საუკუნეებისა, თბილისი, 1955, გვ
 227.

ვახტანგ ცინცაძე

მცხეთის ჯვარის ტაძარი

ალღვენა-კონსტანტინის კიჩხელი რიზის სამეფაოების კომპლქი და მოსაზრება აბგლის მეცნიერული ღაცვის შესახებ.

ძეგლთა მეცნიერული დაცვის პრობლემები, ამ მეცნიერების განვითარების ადრეულ საფეხურზე, ძირითადად, ძეგლთა ფიზიკური შენარჩუნების მეთოდების გამოყენება-განხორციელებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ არანაკლებ ითვალისწინებდა იმ ძაფების გამოვლენა-შესწავლას და ჩვენებას, რომლებიც აკავშირებდა ხალხის კულტურის განვითარების სხვადასხვა საფეხურებს, როგორც ზოგადად, ასევე კერძოდ.

ისტორიული მემკვიდრეობის კავშირი თანამედროვეობასთან სულ უფრო და უფრო იპყრობს გულისხურს და ხდება ფართო მსჯელობის საგნად. ამ მხრივ განა ცოტას გვეუბნება ის ფაქტი, რომ ქ. ჰელსინკში გამართულ ვეროპის სახელმწიფოების მეთაურთა 1975 წ. 1 აგვისტოს თათბირის დასკვნით აქტში, კულტურის ძეგლთა რესტავრაციასა და დაცვის საკითხს რამდენიმე პუნქტი აქვს დათმობილი?

დღეს უკვე ჩვეულებრივად მიგვაჩნია და სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს იღებს სურვილი იმისა, რომ ქართული ხუროთმოძღვრების მარგალიტი, წინაპართა შრომისა და შემოქმედების შედეგი — მცხეთის ჯვარი პირველ რიგში გვინდა ვაჩვენოთ რესპუბლიკაში მყოფ უცხო სტუმარს თუ ჩვენი ქვეყნის რომელიმე კუთხიდან ჩამოსულ მეგობარს.


მცხეთის ჯვარის ტაძრის ფიზიკური მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა.

ჯვარის ანსამბლის მეცნიერული დაცვის სამუშაოები ორ კატეგორიად დავყავით:



- I — დაცვის სამუშაოები — აღმინისტრაციული და მეცნიერული ხასიათისა, II — აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოები, რომლებიც ჩატარდება უშუალოდ ძეგლზე. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ეს საკითხი წლების განმავლობაში ისმებოდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ძეგლთა დაცვის მეთოდსაბჭოს წინაშე. წელს კულტურის სამინისტროს სახეითი ზელოვნებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველომ ჯვარის ტაძარი შეიტანა სატიტულო სიაში. შედეგად დაუდებული — პირველი რიგის — სამუშაოების საღვექტო აქტი, გამოიყო თანხა დაიწყო მუშაობა აღნიშნულ სამუშაოთა პროექტი შევასრულე ა. წ. 5 მარტს, ხოლო 25 მარტს იგი განიხილა და დამტკიცდა სამმართველოს სამეცნიერო საბჭოზე (ოქმ. № 1). ამის შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის მეთოდსაბჭოს ჩემს მიერ მოხსენდა ჯვარის ტაძარზე მიმდინარე სამუშაოების შესახებ (1975 წ. 2 აპრილი ოქმი № 1). აქვე დავსვი საკითხი გამოყოფილიყო კომისია, რომელიც გამოიშვეებდა შემდეგი — მთავარი, სამუშაოების მეთოდსა და მოცულობას. მეთოდსაბჭომ დამავალა ჩამომეყალიბებინა მოსაზრება ჯვარის ორივე ტაძრის მეცნიერული დაცვის შესახებ და წარმომედგინა მორიგ სხდომაზე. ეს დავალბა შესრულდა, გვესმის რა საკითხის წინშეწელობა, მისი ფართო საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით, აქ ვაჭვეუნებთ აღნიშნულ მოსაზრებას და პირველ რიგის აღდგენა-კონსერვაციის პროექტს.

Handwritten text in Georgian script, likely a transcription of the church's name and location, and possibly a brief description or historical notes.



მცხეთა **ჯვარი**
 დიდი ტაძრის მცხეთა-კონსტანტინის პირველი რიგის სამუშაოების პროექტი და მოსაზრება მცხელის მეცნიერული დაცვას შესახებ.



Handwritten text in Georgian script, providing detailed architectural notes and descriptions of the building's features and restoration work.



მცხეთა ჯვარი. დიდი ტაძრის განაგრება-კონსტრუქციის პირველი რიგის სამუშაოების პროექტი და მოსაზრება მცხელის მეცნიერული დაცვას შესახებ.


მცხეთა, ჯვარი. მცირე ტაძრის სამხრეთის კარის მორთულობა. 1962 წ. ფოტო.

Мцхета. Джвари. Малый храм. Украшение южной двери. Фото 1962 г.




საქართველოს შენიშვნების

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი
საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
შენიშვნების ფაკულტეტი

მიხეტა, დჯვარი. პროექტი პირველი
ფაზის სამუშაოების აღდგენით-
დაცვით და რეკონსტრუქციის
შეახლოების მიზნით.

მცხეთა წვარი. მცირე ტაძრის სამხ-
რეთის კარის მოწოდება 1975 წლის
ფოტო.

Украшение южной двери. Фото
1975 г.





მცხეთა, ჭვარი. დიდი ტაძარი, სამხრეთა კარის ტიმანი. რეკონსტრუქციის პროექტი ვენა ფიგურა. 40-იან წლებში ფოტო.

მიხეთა, დჯვარი. Большой храм. Тимпан южной двери, правая фигура. Фото 40-ых годов.



მცხეთა, ჭვარი. დიდი ტაძარი, სამხრეთის კარი. 1975 წლის ფოტო.

მიხეთა, დჯვარი. Большой храм. Южная дверь. Фото 1975 г.

მცხეთა. ჭვარი. დიდი ტაძარი. სამხრეთის კარის ტიმანი. რელიეფის მარჯვენა ფიგურა. 1975 წლის ფოტო.



Мцхета. Джвари. Большой храм. Тимпан южной двери, правая фигура рельефа. Фото 1975 г.

მცხეთა. ჭვარი. დიდი ტაძარი. სამხრეთის კარის ნაწილობრივ აღდგენა. დაცვის პროექტი.



Мцхета. Джвари. Большой храм. Южная дверь. Проект охраны и частичного восстановления.



I. ძველის დათვალიერება მნახველთა მიერ უნდა ხდებოდეს საგანგებოდ შედგენილი განაწესის მიხედვით, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას დათვალიერების დრო, ვამყოლი, როგორც კოლექტიური, ისე ინდივიდუალური მომსვლელებისათვის. უნდა აიკრძალოს განსაზღვრული დროისა და გამყოლის გარეშე ძველის ტერიტორიაზე შესვლა და სხვა...

კატეგორიულად უნდა ავიცილოთ ისეთი გამყოლები, რომლებიც თვითდაჯერებული კმაყოფილებით აფრქვევენ ისეთ „პარგალიტებს“, როგორც მაგ.: „ქვევით გადაეყურებთ ძველ ელინისტურ ქალაქს, აქ კი ბიზანტიურ ტაძარში ვიმყოფებით“. ანდა „ჟვარი ირანული სიტყვაა, ამ გრანდიოზულ ნაგებობას თავდაპირველად ციხედ, შემდეგ კი ეკლესიად იყენებდნენ-ო“ და კიდევ სხვა მრავალი. ეს საკითხი თუ არ მოწესრიგდა (შეიძლება მაგნიტოფონით გადაეცეთ სათანადო ტექსტი რამდენიმე ენაზე), აქ, სვეტიცხოველში, ბაგრატიის ტაძარზე, ბიჭვინტაში და სხვაგან ჩვენ აღმოვჩნდებით ხის ტოტზე, რომელსაც თვითონვე ვჭრით.

ნაგებობის ცვეთის შემცირების მიზნით, საჭირო და აუცილებელია გაუქმდეს ის გადასახედი, რომელიც მოწყობილია დიდსა და პატარა ტაძარს შორის. მნახველთა ჯგუფი, პირდაპირ უკვე გაცვეთილი კიბეებით ვიწრო გასასვლელში მიემართება, კედლები და პილასტრები იხეხება, დაშლილი ზედაპირი შრეებად ან ცალკე ნაწილებად ცვივა. გადასახედი შეიძლება გაიმართოს ტაძრიდან მოცილებით კლდას თხემზე.

ზემონათქვამი მიზეზების გამო არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კონსერვტივის გამართვა ინტერიერში, იმ პირობებში მაინც, როგორც დღეს ხდება. ამ დროს კონსერტივის მონაწილენი დგანან აფსიდის საფეხურებზე, ხედავენ სარკმელებზე, მსმენელები კი ზოგი კედლებზეა მიყუდებული; ზოგიც ინტერიერში არსებულ ოქტოგონზეა ჩამომჯდარი. სიმღერის ბგერათა გუბუნის გამო ცვივა კედელსა და გუმბათში ატყეწილი ფენები. მთავარი მოთხოვნაა — სანამ გუმბათი არ გამაგრდება და სათანადოთ არ მოეწყობა ინტერიერი, ტაძრის შიგნით კონსერტივის გამართვა სასურველი არ არის. დიდ ზიანს აყენებს რეაქტიული თვითმფრინავების გუბუნიც.

ჟვარის ტაძარი დღეს ფიზიკურად ისეთ მდგომარეობაშია, რომ ზემოაღნიშნულ ცვეთის ფაქტებს დროულად უნდა მივაქციოთ ყურადღება. როგორც ჩანს ეს ზოგადი ხასიათის მოვლენაა და ძალაუნებურად თან სდევს ტურიზმის განვითარებას. სწორედ ამაზეა საგანგებოდ აღნიშნული ქელსინკის თათბირის დასკვნით აქტში, რომ:

«Будут следить...», чтобы развитие туризма не наносило ущерб окружающей среде и художественному, историческому и культурному наследию в их странах».

საჭირო რაოდენობით და რამოდენიმე ენაზე უნდა გამოიცეს ძველის შესახებ მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის ბუკლეტები, ხუროთმოძღვრული და ცალკე რელიეფისათვის მიძღვნილი ალბომები, სადაც ნაჩვენებია იქნება, ძველის დღევანდელი მდგომარეობა. ფოტო, ნახატები და მეცნიერულ კვლევაზე დაყრდნობილი რეკონსტრუქცია-აღდგენის ცდები.

აღნიშნული სამუშაოები ორ ნაწილად გვაქვს დაყოფილი. პირველი, რომელიც აქ წარმოდგენილ პროექტზე გვაქვს ნაჩვენები და მმწრმ, რომელიც საჭიროა ჩატარდეს მომავალში.

პროექტის პირველი რიგის სამუშაოების დიდი ნაწილი განხორციელებულია. თავდაპირველად არსებულის აღდგენით დარჩენილის გამაგრება, ჩვენ შემთხვევაში ერთადერთი გამოცდილი და მიღებული მეთოდაა ასეთ მდგომარეობაში მყოფი ძველის შემდგომი ნგრევა-განადგურებიდან გადასარჩენად.



პროექტით ეს სამუშაოები შეეხო (იხ. ნახ.) ტაძრის სტილობატს რომელიც საგანგებოდ იყო გამართული ჯვარის ზუროთმოძღვრის მიერ მართავდა.

როგორც ცნობილია, კატასტროფულად ნადგურდება ჯვარის რელიეფები, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია სანხრეთის კარის თავზე მოთავსებული ჯვარის ამალღების კომპოზიცია. რელიეფის მარჯვენა ფიგურის სახე მოკლე დროის განმავლობაში ჩამოირეცხა — გაქრა (შეადარე სურათები).

რელიეფის გადასარჩენად პროექტით გათვალისწინებული იყო გადამხურავი თაღის ნაწილობრივი აღდგენა. სამეცნიერო საბჭომ მოიწონა ეს ხერხი და დაადგინა, რომ აღნიშნული თაღი აღგვედგინა ანგელოზის გამოსახულების ფეხებამდე დაახლოებით 1 მეტრ სიფართოზე. ამ შემთხვევაში ტიპანი მთლიანად იქნება დაცული წვიმისაგან.

აღნიშნული სამუშაოს ნაწილი დღეს შესრულებულია: თაღის გასამაგრებლად აღდგენილია ერთ დროს არსებული VI-VII საუკუნის კარიბჭის ნაწილი — ჩრდილო-აღმოსავლეთი ბურჯი. ამ ნაწილის აღდგენის მიზანი არის ის, რომ ერთის მხრივ, რელიეფის დამცველი საფარი მოეწყოს, მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ჯვარის ტაძრის პორტიკის თითქმის გამქრალი გვემა შემოიფარგლა. ამ პორტიკის შესახებ ჯვარის საფუძვლიანად გამოშველვენი, ქართული ხელოვნებათმეცნიერების ნესტორი — გიორგი ჩუბინაშვილი წერს:

«время его построения несомненно тотже перелом VI—VII веков, т. е. он только технически выведен после самого здания, но является продуктом единой композиции...» (т. ч. II. Т. Дж., гл. 37).

ამ პორტიკში იყო მოთავსებული აღნიშნული რელიეფი, როგორც ამას ხაზგასმით აღნიშნავს მკვლევარი: «...рельеф главного входа был даже установлен открыто, вне храма, именно в портике» (გვ. 149).

ნაგებობის მთავარი — სამხრეთის ფასადის მხატვრული ანალიზის დროს, დეკორატიულ მორთულობას გ. ჩუბინაშვილი განიხილავს ზევიდან ქვევით, ისე, როგორც ხედავდა მომხველელი ამ ნაგებობას ადრეულ პერიოდში. აქვე შევნიშნავთ: დღეს ძველზე მისასვლელი არ არის სწორად მოწყობილი, ამის გამო მიზანწეწონილად მიგვაჩნია აღდგენილ იქნას შემოაღნიშნული აღქმის წერტილები. ძველზე მისასვლელი შეიძლება მოეწყოს ახლანდელი გალაგნის კარიდან ცოტა მოპორებით მარცხნივ, რის შემდეგ მცირე აღმართს გაუყვეს სამხრეთის ფასადის მიმართულებით.

აღნიშნული ანალიზის დროს ავტორი დაასკვნის, რომ...⁴⁴

«...порттик этот развивал и подтверждал все распределение масс храма, создавая нужный оттенок в его гармонической игре вертикалей и горизонталей, дающей такое законченное впечатление свободного, возвышенного стремления вверх»...

(იქვე, გვ. 133,134).

ქვევით აღნიშნული პორტიკის ორნამენტული მოტივის განხილვისას და მისი შედარებისას მახლობელ დროის ტაკ-ი-ბუსტანის ხოსრო II ფარავის გამოსახულების ზევით მოთავსებულ იმავე მოსახულობისა და შესრულების სტილის უახლოეს პარალელთან, ავტორი დაასკვნის, რომ:

«...«здесь в этом Джварском орнаментальном мотиве мы имеем дело все с той же рукой большого художника, который выявил широкий диапазон своего дарования»... (იქვე, გვ. 140).



ტაკ-ი-ბუსტანის აღნიშნული რელიეფები თარიღდება 620 წლით. ფუნდამენტის ნებთ ჯვარის თარიღს — 586-604/5 წლებს, მაშინ ნათელი გახდება თუ რა მნიშვნელობა აქვს სამხრეთის კარის ამალღების კომპოზიციას, რომელიც პორტიკის ორნამენტთან ერთად დიდ სტილისტურ მსგავსებაშია ტაკ-ი-ბუსტანის კლდეში ნაკვეთ ძეგლთან.

ჯვარის ტაძრის სამხრეთის კარის ტიმპანის რელიეფის დასაცავად მეტად საჭირო სამხრეთის პორტიკის ნაწილის აღსადგენად ჩვენ ანალოგიის მეთოდს მივმართეთ. პორტიკის ოთხიდან-ორი დარჩენილი ბოძის გულდასმით შესწავლისას ურთიერთდაპირისპირებისა და ცვეთის ხარისხის დადგენის შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ საერთო მასებში აღდგენილი ბურჯი უფრო მეტ დახმარებას გაუწევდა დამთვალეირებულს, თავდაპირველად ფორმათა გაგება-შეგრძელების დროს.

ახალი ყოველთვის კონფლიქტშია ძეგლთან, მაგრამ თუ ახალი — ე. ი. ბურჯი, საჭიროა დაღუპვის პირზედ მიმდგარი უნიკალური რელიეფის გადასარჩენად, და იგივე ახალი დაგვეხმარება ძეგლის სწორად გაგებაში, მაშინ ჩვენ მისი არსებობა გამართლებულად მიგვაჩნია.

აღნიშნული პროექტით გათვალისწინებულია, აგრეთვე, სამხრეთის კარის თავდაპირველი სახით აღდგენა-გამაგრება. ჩადგმული წირთხლებითა და არქიტრავით დავიწროებული კარი წარმოუდგენლად ამახინჯებს ტაძრის ხუროთმოძღვრებას, როგორც შესასვლელის, ისე ფასადისა და ინტერიერის აღქმის დროს. შესასვლელს საჭიროა დაუბრუნდეს თავდაპირველი პროპორციები, რომელიც შეესაბამება მთელ ნაგებობას (რასაკვირველია ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი გამაგრებაც). რაც მთავარია, რელიეფს საეხებით დაეუბრუნებთ მის მთავარ იდეას — ფართე ხერგობის ვიწრო არქიტრავზე მდებარე ჯვარის გამოსახულებას გვერდითა ფიგურების მიერ ზევით ატაცებულს („ასამალღებლად“), ამჩატებულს. ამითაც ნათლად შედგანდება ჯვარის ხუროთმოძღვრის უსაზღვრო გენიალობა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კარის თავდაპირველი სახით აღდგენის შედეგად, ძეგლის მხატვრული ზემოქმედება რიგით დამთვალეირებულზე კიდევ უფრო გაძლიერდება.

მართალია, ჩრდილოეთის კარიც გადაკეთებულია (პირველისაგან განსხვავებით, აქ მოშლილია ტიმპანი, როგორც შიგნიდან ისე გარედან, დავიწროებულია გასასვლელი), მაგრამ მისი აღდგენა პროექტში არ გავითვალისწინებია, ვინაიდან მას არა აქვს შემოქმედების ისეთი ძალა, როგორც სამხრეთის შესასვლელს.

მიმდინარე წელს ზემოაღნიშნულ სამუშაოებთან ერთად სადღეფექტო აქტით გათვალისწინებულია სამხრეთის მინაშენის სახურავის განახლება. საჭიროა ძეგლის კედელზე ან მის ახლოს ამოსული მცენარეების ამოძირკვა და მოჭრა აღმოსავლეთ ფასადთან მდგარა ხისა, რომელიც ხახუნით აზიანებს ძეგლის კედლის ზედაპირს.

ამით დამთავრდება პროექტით გათვალისწინებული პირველი რიგის სამუშაოები. განვიხილოთ მოხაზრებები მეორე რიგის სამუშაოების შესახებ.

1. ზევით უკვე იყო ნათქვამი, რომ კატასტროფულ მდგომარეობაშია ჯვარის რელიეფები.

ძველი საქართველოს მშენებლობის ხელოვნების შესწავლის შედეგად იმ დასკვნამდე მივდით, რომ ჯვარის რელიეფების ზედაპირი დამუშავებული — დაფარული იყო სხვადასხვა საშუალებებით. იმგვარად, რომ მხატვრულ მოთხოვნილებასთან ერთად გულდასმით იყო მოფიქრებული ზედაპირის გამძლეობა-განმტკიცების საკითხი.

ვფიქრობთ, ასევე იყო დამუშავებული ორნამენტებიც. ფენა, რომლითაც ზედა-



პირი იყო დაფარული, გამძლე აღმოჩნდა. ასეთი ხერხი რომ არ გამოეყენებინათ, სასწრაფოდ გადოდ, ძეგლების დეკორის ნახევარი რეპერტუარიც ვერ მოაღწევდა ჩვენამდე.

და აი იწყება ამ ფენის დაზიანება, მხატვრულად დამუშავებული ზედაპირის პროგრესულად დაშლა. ეს ხდება კერძოდ ჯვარის ტაძარზე, და საერთოდ, ჩვენი არქიტექტურის ძეგლებზე. მდგომარეობა საგანგაშოა. ეს რთული საკითხი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. რასაკვირველია, ჯვარის რელიეფები ამ საკითხის გადაჭრას ვერ მოუცდის.

ხომ არ აჯობებდა აღნიშნული რელიეფები მოგვეხსნა, მუზეუმში გადაგვეტანა, ხოლო შის ადგილას იმავე ან სხვა მასალაში გაკეთებული პირები მოგვეთავსებინა?

„ქვის დაცვა მხოლოდ მუზეუმის პირობებში შეიძლება“, ასეთია პასუხი ყველგან, სადაც კი და რომელ ქვეყანაშიც კი ეს საკითხი დაგვისვამს.

ამაზე საგანგებო მსჯელობა და გადაწყვეტილებაა მისაღები.

ამავე დროს, სანამ სულ არ გამქრალა რელიეფები (იხ. სამხრეთი ფასადის ნიშებში გადარეცხილი რელიეფები), საჭიროა მათი გულდასმით შესწავლა, გრაფიკულად მანც თავდაპირველი სახის მიხლოებითი აღდგენა. უკანასკნელი ხომ მეცნიერული დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია. ამ მეთოდით უნდა იქნას ჯვარის რელიეფები დაცული. აღდგენა საჭიროა ჯერ გრაფიკულად, ხოლო შემდეგ ორიგინალის მასალაში. ეს დიდი შენაძენი იქნება ჩვენი კულტურის — ხელოვნების ისტორიისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს რომ მსგავსი და უფრო სწორედ ასეთი გამოზენით იყო შესრულებული ჯვარის ტაძრის ერთ-ერთი ქტიტორის სახის აღდგენა, რომელიც გ. ჩუბინაშვილის რჩევით შესრულა (ტერაკოტაში) ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და მხატვარმა ზ. მაისურაძემ (იხ. „ძეგლის მეგობარი“ № 18).

2. ზემოაღნიშნული ხასიათის დაზიანება მთელი ნაგებობის ფასადებზეა გავრცელებული. რელიეფებზე დაზიანების მასშტაბი მცირეა, მაგრამ მასთან ბრძოლა მანც ძნელდება, ხოლო რაც შეეხება ფასადებს, მათი, მიუხედავად დიდი მასშტაბის დაზიანებისა, შედარებით იოლია. უკანასკნელი ამ დროს მოგვაგონებს დაავადებულ ორგანიზმში ქირურგის ჩარევას. როგორც ქირურგია — ექვეტიც შესაფერისი გვექნება

ამგვარად, რელიეფების ზემოაღნიშნული დაზიანება ფასადების დაზიანებათა ერთი ნაწილია. დაზიანებულია ფასადების სხვა ნაწილებიც: სარკმლები, სარკმლების მორთულობა, ორნამენტული ამიები, ცოკოლი, ნიშები და კარნიზები (კარნიზების დიდი ნაწილი უკვე გამქრალა) აქვე გვინდა კმაყოფილებით შევნიშნოთ, რომ სამხრეთის პორტიკის თავდაპირველი კარნიზის ფორმა დღემდე უცნობი იყო, ჩვენ მას ზონდაეის გაკეთების შედეგად მივაკვლიეთ, (პროექტზე აღნიშნული კარნიზი გვაქვს ნაჩვენები). როგორ მოვიქცეთ ძეგლის შენარჩუნებისათვის?.. აქ უკვე ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაციის მეთოდი უნდა მოვიმარჯვოთ, სხვა გამოსავალი არ ჩანს, და, ყოველ კერძო შემთხვევაში თავისებური მიდგომაა საჭირო. ასე მაგ.:

1. სარკმლების წირთხლების დაზიანებულ ქვედა ნაწილის ახლანდელ მდგომარეობაში დატოვება არ შეიძლება, რადგან გამოფიტვა ქვევით რიგებზე გადავა.

2. სარკმლების ორნამენტული ამიები გამოკვლევა-შესწავლის შემდეგ საჭიროა გრაფიკულად იყოს აღდგენილი (შესაძლებელია საგანგებო ხელსაწყოების გამოყენებით). მათი გამოცემთა დაკარგული ნაწილის აღდგენით ფასდაუდებელი მასალა იქნება ორიგინალის დაშლა-ჩამოცვენის შემდეგ, და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხერხდება დაშლის პროცესის შეჩერება.




3. კედლებისა და ცოკოლების დაზიანებული წყობა, იმ ადგილებზე, სადაც მათი ლოოდ გამოიფიტება-დაიშლება, საჭიროა დაუყოვნებლივ აღდგენა ანალი, იმავე ზომის, ფორმისა და ქანის წყობით. ასეა აღდგენილი 1927 წ. სამხრეთის კარის მარჯვენა წყობის დაზიანებული ნაწილი. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სამუშაო ცუდადაა შესრულებული (უკანასკნელი შეიძლება გამოსწორდეს). ჩვენ დარწმუნებული ვართ, აღნიშნული სამუშაო, რომ არ შესრულებულიყო, დღეს სამხრეთის ფასადის კიდევ სხვა, საფიქრებელია, უფრო დიდი ნაწილი იქნებოდა დაკარგული.

4 დაზიანებულია ტაძრის გუმბათი. ერთ დროს (X ს.) ძალით ჩამოუნგრევიათ გუმბათის თითქმის ნახევარი და ასე მდგარა მიტოვებული ათეული წლების მანძილზე. ამ დროს უნდა ყოფილიყო დაზიანებული ტაძრის ზედა ნაწილები და განსაკუთრებით ინტერიერი, სადაც ჩამოიქვრტნა და ჩამოირეცხა წყობის ზედაპირი, დაზიანდა ტექტონიკური, მკაფიოდ გამოყვანილი კამარებისა და კედლების კუთხეები. შუასაუკუნეებში შენობა აღადგინეს, იმ დროისათვის მისაწვდომი საშუალებებით და გაგებით: შეცვლილია კარნიზები, გადახურულია გუმბათის ნახევარსფეროს ნაწილი და სხვ. გუმბათში აღდგენილსა და თავდაპირველიდან შემორჩენილ ნაწილებს შორის ბზარია გაჩენილი, განსაკუთრებით, გუმბათის ყელის აღმოსავლეთ წახნაგის ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც კარნიზსქვედა სამი რიგი დაძრული ჩანს და აცდენილია შვეულს. ეს ბზარი გარედან უფრო მეტადაა შესამჩნევი. ასეთივე ცვლილებები ჩანს გუმბათის ყელის დასავლეთის ნაწილში. ის ფაქტი, რომ რეაქტიული თვითმფრინავების ტრასა, ჯვარზე გადადის და ყოველდღიურად მოქმედებს რხევის გაულენები, გვაფიქრებინებს, გუმბათის რკინა-ბეტონის სარტყლით შეკვრის აუცილებლობაზე. სარტყელი მოთავსებული იქნება გუმბათის კარნიზის დონეზე, მის უკან, ისე, რომ შელახული სახურავის კაპიტალური შეკეთების დროს მისი მოწყობა არ გაძნელდება. ფიქრობთ, რომ ეს ღონისძიება დაიცავს გუმბათს მოსალოდნელი გახსნა-დანგრევისაგან.

ქვარის მხირი ტაძარი

მცირე ტაძარი კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია, ვიდრე დიდი. საჭიროა შედგენილ იქნას გამაგრება-კონსერვაციის პროექტი, რისთვისაც უნდა მოხდეს ძეგლის დეტალური აზომვა, შესწავლილ უნდა იქნეს ძეგლის თავდაპირველი ხუროთმოძღვრული ფორმები, შემდეგ გაკეთდეს რეკონსტრუქციის პროექტი და დასასრულ, აღდგენა-კონსერვაციის პროექტი. ყველა ეს სამუშაო დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს მიმდინარე წელს, ისე, რომ სარესტავრაციო სამუშაოები დაიწყოს მომავალი წლიდან.



წითელი ხიდი. ჩამონგრეული სამხრეთის მისაღვომის დასავლეთი კედელი.

Красный мост. До реставрации.


ლევან ხიმშიაშვილი

წითელი ხიდის რესტავრაცია

წითელი ხიდის რესტავრაცია კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ გამოვიყენოთ თანამედროვე სამშენებლო კონსტრუქციები ხუროთმოძღვრული ძეგლების აღდგენისას. დანგრეული ნაწილის აღსადგენად დამალული რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებამ უზრუნველყო ხიდის სიმგრე, გამტარუნარიანობა და ამავე დროს შენარჩუნებულ იქნა მისი თავდაპირველი მხატვრული სახე. სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა 1963-64 წწ. ხიდი დღესაც კარგად ასრულებს თავის დანიშნულებას.

წითელ ხიდს, ანუ როგორც ხშირად მას უწოდებენ „გატეხილ ხიდს“ — თავისი მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უკავია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიაში. წითელი ხიდი აშენებულია XVII ს. მდ. ხრამზე (თბილისიდან 55 კმ დაშორებით) საქართველოს და აზერბაიჯანის საზღვარზე.

1963 წლის მაისის თვეში ხიდის სამხრეთი მისაღვომის დასავლეთი კედელი დაინგრა. ამ მდგომარეობამ საფრთხე შეუქმნა ტრანსპორტის მოძრაობას. დანგრეული ნაწილის აღსადგენად გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ სასწრაფოდ შეადგინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა. პროექტი ითვალისწინებდა ყორე-ბეტონის კედ-



წითელი ხიდი. სამხრეთის მისადგომის დასავლეთის კედლის აღდგენის პროცესი.

Красный мост. Процесс работы по восстановлению Западной стены южной подъезда.

ლის ამოყვანას უზარმაზარი კონტრაფორსებით. ხუროთმოძღვრული ძეგლის დანგრეული ნაწილის ასეთი წესით აღდგენა ძლიერ ამახინჯებდა მის მხატვრულ სახეს და ამიტომ წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის და რესტავრაციის სამმართველოს მიერ დაწუნებული იქნა. ახალი პროექტის შედგენა დაევალა ამავე სამმართველოს სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნოს. ამავე წელს ჩვენ შევისწავლეთ ხიდის მდგომარეობა, კედლის ნგრევის გამოწვევი მიზეზები, კონსტრუქციული თავისებურებანი და შევადგინეთ რესტავრაციის პროექტი.

ხიდის სამხრეთი მისადგომის დასავლეთი კედლის ნგრევის ძირითადი მიზეზები იყო:

1. დანგრეული სამხრეთი მისადგომის დასავლეთი კედელი არ იყო ხიდის მშენებლობის დროინდელი. ადრე ხიდის ეს ნაწილი ჩამონგრეულა და აგურის ნაცვლად, რომლითაც აგებულია მთელი ხიდი, აღუდგენიათ კედლის ფლეთილი ქვით. აღნიშნულს მოწობს თვით კედლის ნანგრევები და ფოტოსურათები, რომლებიც დანგრევამდე იყო გადაღებული. ძნელია განვსაზღვროთ თუ რატომ მოხდა თავდაპირველი აგურის კედლის ნგრევა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გამოიწვია მისადგომის კედლებს შუა ჩაყრილმა, მიწის მასივის დატვირთვისაგან წარმოშობილმა განმბეჭენმა ძალებმა როგორც ჩანს ხიდის მშენებელმა თავიდანვე ვერ განსაზღვრა სწორად კედლებზე მოსული განმბეჭენი ძალების ამტანაინობა და ამის გამო მოხდა სამხრეთი მისადგომის, როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთი კედლის ნგრევა. შეკეთების დროს კედლის ფლეთილი ქვით, ხელმოკრედ ამოუყვანიათ თავდაპირველი სისქის კედელი. დეტა-



კლატოზი ნიკოლოზ სამხარაული წი-
 ჟელი ზიდის კედლის დაწყოების დროს.

Мастер Н. Самхараули во время
 кладки стены.

ლური შესაწვლისას აღმოჩნდა, რომ კედლისათვის ფუძე კარგად არ გაუმზადებით—
 არ მოუსწორებიათ, რამაც ხელი შეუწყო კედლის ნგრევას.

2. როგორც თავდაპირველი კედლის ნგრევისას, აქაც ერთ-ერთი მიზეზი იყო ის,
 რომ ამ კედელმაც ვერ გაუძლო განმზღვენ ძალებს და დაინგრა.

3. სამხრეთი მისადგომის კედლების ნგრევას ხელი შეუწყო იქვე, მისადგომთან
 გაყვანილ რუდან წყლის მუდმივმა ჟონვამ, ეს რუ მინდვრების სარწყავად ორი ათეუ-
 ლი წლის წინათ იქნა გაყვანილი ყოველგვარი გიდროიზოლაციის გარეშე და ამიტომ
 ყამირწი წყალმა დაიწყო ჟონვა. დროთა განმავლობაში სამხრეთი მისადგომი იმდენად
 გაიქლინთა წყლით, რომ სათავსოები ძლიერ დანესტიანდა. ასეთმა მდგომარეობამ შე-
 ასუსტა კავშირი ძველსა და ახალ კედლებს შორის, წარმოიშვა ნაპრალები ზიდის სა-
 ვალ ნაწილში, ხოლო 1963 წლის გაზაფხულ-ზაფხულის ძლიერი წვიმების შედეგად
 კედლები დაინგრა.

ზიდის დანგრეული ნაწილის აღსადგენად რესტავრატორთა წინაშე დაისვა ორი
 რთული ამოცანა: პირველი — შემუშავებულიყო ისეთი პროექტი, რომელიც ძველს
 შეუნარჩუნებდა თავდაპირველ არქიტექტურულ სახეს და მეორე — გამოეყენებინათ



ეროვნული
არჩევნების
სამსახური


ისეთი კონსტრუქცია, რომელიც არ დამაზინებდა ძველს და უზრუნველყოფდა ხმების ნორმალურ ექსპლოატაციას.

ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის მოწვეული იყვნენ კონსტრუქტორები, რომლებმაც წარმოადგინეს დანგრეული ნაწილის აღდგენის ვარიანტები. დავით კორძაიას მიერ შემუშავებული პროექტი ითვალისწინებდა დამალულ რკინა-ბეტონის კონსტრუქციებს, კედლის გარე პირი კი ამოყვანილი უნდა ყოფილიყო ერთი აგურით.

შშენებელთა ჯგუფს ინჟინერი ვახტანგ გიორგაძე ხელმძღვანელობდა.

